ი ნ ფ ო რ მ ა ც ი ა

# წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შესრულების ანგარიში

## I თავი.

## მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ძირითადი მაჩვენებლების შესრულება

1) ბიუჯეტის ბალანსი საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით:

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| I. შემოსავლები | 39,820.3 | 13,755.8 | 26,064.5 | 42,392.3 | 13,705.1 | 28,687.2 | 106.5 |
| გადასახადები | 21,930.8 | 0.0 | 21,930.8 | 22,600.8 | 0.0 | 22,600.8 | 103.1 |
| გრანტები | 14,515.9 | 13,755.8 | 760.1 | 14,597.6 | 13,705.1 | 892.5 | 100.6 |
| სხვა შემოსავლები | 3,373.6 | 0.0 | 3,373.6 | 5,193.9 | 0.0 | 5,193.9 | 154.0 |
| II. ხარჯები | 27,413.2 | 3,218.5 | 24,194.6 | 26,039.5 | 3,085.9 | 22,953.6 | 95.0 |
| შრომის ანაზღაურება | 4,244.8 | 146.2 | 4,098.6 | 4,185.7 | 144.0 | 4,041.8 | 98.6 |
| საქონელი და მომსახურება | 5,656.9 | 1,087.9 | 4,568.9 | 5,159.0 | 1,013.4 | 4,145.5 | 91.2 |
| პროცენტი | 20.4 | 0.0 | 20.4 | 20.3 | 0.0 | 20.3 | 99.6 |
| სუბსიდიები | 11,659.2 | 139.9 | 11,519.3 | 11,252.5 | 139.7 | 11,112.9 | 96.5 |
| გრანტები | 1,285.0 | 0.0 | 1,285.0 | 1,234.9 | 0.0 | 1,234.9 | 96.1 |
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,722.2 | 32.0 | 1,690.2 | 1,666.3 | 32.0 | 1,634.3 | 96.8 |
| სხვა ხარჯები | 2,824.7 | 1,812.5 | 1,012.2 | 2,520.7 | 1,756.8 | 763.9 | 89.2 |
| III. საოპერაციო სალდო | 12,407.1 | 10,537.2 | 1,869.9 | 16,352.8 | 10,619.2 | 5,733.6 | 131.8 |
| IV. არაფინანსური აქტივების ცვლილება | 16,456.1 | 10,952.1 | 5,503.9 | 6,838.0 | 10,091.1 | -3,253.0 | 41.6 |
| ზრდა | 17,846.9 | 10,952.1 | 6,894.7 | 15,348.3 | 10,091.1 | 5,257.2 | 86.0 |
| კლება | 1,390.8 | 0.0 | 1,390.8 | 1,650.6 | 0.0 | 1,650.6 | 118.7 |
| V. მთლიანი სალდო | -4,048.9 | -414.9 | -3,634.1 | 3,335.0 | 528.1 | 2,806.8 | -82.4 |
| VI. ფინანსური აქტივების ცვლილება | -4,104.5 | -414.9 | -3,689.7 | -235.8 | 528.1 | -763.9 | 5.7 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 2,599.4 | 528.1 | 2,071.3 | 0,0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 0.0 | 0.0 | | 2,599.4 | 528.1 | 2,071.3 | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| კლება | 4,104.5 | 414.9 | 3,689.7 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ვალუტა და დეპოზიტები | 4,104.5 | 414.9 | 3,689.7 | #VALUE! | | | 0,0 |
| ფასიანი ქაღალდები, გარდა აქციებისა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სესხები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| აქციები და სხვა კაპიტალი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სადაზღვევო ტექნიკური რეზერვები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| წარმოებული ფინანსური ინსტრუმენტები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| სხვა დებიტორული დავალიანებები | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| VII. ვალდებულებების ცვლილება | -55.6 | 0.0 | -55.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| ზრდა | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| საშინაო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| კლება | 55.6 | 0.0 | 55.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| საგარეო | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| საშინაო | 55.6 | 0.0 | 55.6 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| VIII. ბალანსი | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0! |

**შენიშვნა:** ბალანსში გათვალისწინებულია ბიუჯეტის ანგარიშებზე მობრუნებული თანხები.

2) **საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით ბიუჯეტის შემოსულობების, გადასახდელებისა და ნაშთის შედარება შესაბამისი პერიოდის გეგმურ მაჩვენებლებთან**

**ათასი ლარი**

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები |
| შემოსულობები | 41,211.1 | 13,755.8 | 27,455.3 | 44,042.8 | 13,705.1 | 30,337.7 |
| შემოსავლები | 39,820.3 | 13,755.8 | 26,064.5 | 42392.3 | 13705.1 | 28687.2 |

| | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|
| არაფინანსური აქტივების კლება | **1,390.8** | **0.0** | **1,390.8** | 1650.6 | 0.0 | 1650.6 |
| ფინანსური აქტივების კლება | **0.0** | **0.0** | **0.0** | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| **გადასახდელები** | **45315.6** | **14170.6** | **31145.0** | **41443.4** | **13177.0** | **28266.4** |
| ხარჯები | 27413.2 | 3218.5 | 24194.6 | 26039.5 | 3085.9 | 22953.6 |
| არაფინანსური აქტივების ზრდა | 17846.9 | 10952.1 | 6894.7 | 15348.3 | 10091.1 | 5257.2 |
| ვალდებულებების კლება | 55.6 | 0.0 | 55.6 | 55.6 | 0.0 | 55.6 |
| **ნაშთის ცვლილება** | **-4,104.5** | **-414.9** | **-3,689.7** | **2599.4** | **528.1** | **2071.3** |

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსულობების (შემოსავლები, არაფინანსური აქტივები, ფინანსური აქტივები) გეგმა განისაზღვრა 41211,1 ათასი ლარით, ფაქტიურმა შესრულებამ შეადგინა 44042,8 ათასი ლარი, ანუ გეგმის 106.9%.

**სახეობების მიხედვით შემოსულობების ხვედრითი წილი:**




წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის შემოსავლების (გადასახადები, გრანტები, სხვა შემოსავლები) გეგმა 39820,3 ათასი ლარი, ფაქტიურად 42392,3 ათასი ლარით შესრულდა, რამაც გეგმის 106,5% შეადგინა.




## ა) საგადასახადო შემოსავლები

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| გადასახადები | 21,930.8 | 0.0 | 21,930.8 | 22,600.8 | 0.0 | 22,600.8 | 103.1 |
| დღგ | 19,630.8 | | 19,630.8 | 19,601.0 | | 19,601.0 | 99.8 |
| ქონების გადასახადი | 2,300.0 | 0.0 | 2,300.0 | 2,999.8 | 0.0 | 2,999.8 | 130.4 |
| საქართველოს საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 1,700.0 | | 1,700.0 | 1,879.5 | | 1,879.5 | 110.6 |
| უცხოურ საწარმოთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 0.0 | | | -103.1 | | -103.1 | 0.0 |
| ფიზიკურ პირთა ქონებაზე (გარდა მიწისა) | 10.0 | 0.0 | 10.0 | 58.1 | 0.0 | 58.1 | 581.0 |
| ეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე | 1.0 | | 1.0 | 5.7 | | 5.7 | 572.2 |
| არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ უძრავ ქოენბაზე | 9.0 | | 9.0 | 52.4 | | 52.4 | 581.9 |
| სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | 190.0 | 0.0 | 190.0 | 277.0 | 0.0 | 277.0 | 145.8 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| ფიზიკურ პირებიდან | **140.0** | | 140.0 | **195.7** | | 195.7 | 139.8 |
| იურიდიულ პირებიდან | **50.0** | | 50.0 | **81.3** | | 81.3 | 162.5 |
| არასასოფლო -სამეურნეო დანიშნულების მიწაზე | **400.0** | **0.0** | **400.0** | **888.4** | **0.0** | **888.4** | 222.1 |
| ფიზიკურ პირებიდან | **50.0** | | 50.0 | **92.4** | | 92.4 | 184.7 |
| იურიდიულ პირებიდან | **350.0** | | 350.0 | **796.0** | | 796.0 | 227.4 |

**საგადასახადო შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 22600.8 ათასი ლარი, რაც გეგმის 103,1 % -ია (21930,8 ათასი ლარი), მათ შორის: **დამატებული ღირებულების გადასახადიდან** მიღებულია 19601,0 ათასი ლარი (გეგმა 19630,8 ათასი ლარი) ანუ გეგმის შესრულებას დააკლდა 29,8 ათასი ლარი. **ქონების გადასახადის გეგმა** საანგარიშო პერიოდში შეადგენდა 2300,0 ათას ლარს, მიღებულია 2999,8 ათასი ლარი, მათ შორის: საწარმოთა ქონების გადასახადიდან (გარდა მიწისა) მიღებულია 1879,5 ათასი ლარი, ფიზიკურ პირთა ქონებაზე გადასახადიდან (გარდა მიწისა) ეკონომიკური საქმიანობისათვის გამოყენებულ ქონებაზე - 5,7 ათასი ლარი, არაეკონომიკური საქმიანობისთვის გამოყენებულ ქონებაზე - 52,4 ათასი ლარი. სასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 195,7 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 81,3 ათასი ლარი. არასასოფლო - სამეურნეო დანიშნულების მიწაზე ფიზიკური პირებიდან - 92,4 ათასი ლარი. ხოლო იურიდიული პირებიდან - 796,0 ათასი ლარი. გეგმის ზევით მიღებულია 699,8 ათასი ლარი. აღსანიშნავია, რომ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მდებარე საწარმოთა ქონების გადასახადი, სახელმწიფო ხაზინის გავლით, მთლიანად აკუმულირდება მუნიციპალიტეტში. მისაღები შემოსავლის გეგმის განსაზღვრას აკეთებს ფინანსთა სამინისტრო წინა წლის მონაცემებზე დაყრდნობით. გეგმის ზევით შემოსავლის მიღება დაკავშირებულია მუნიციპალიტეტში მდებარე მეწარმეთა საქმიანობის გაფართოებასთან.

## ბ) გრანტები

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| გრანტები | **14,515.9** | **13,755.8** | **760.1** | **14,597.6** | **13,705.1** | **892.5** | 100.6 |
| საერთაშორისო ორგანიზაციებიდან და სხვა ქვეყნის მთავრობიდან მიღებული გრანტები | **90.1** | | **90.1** | **222.5** | | **222.5** | 247.0 |
| სახელმწიფო ბიუჯეტიდან გამოყოფილი ტრანსფერი | **14,425.8** | **13,755.8** | **670.0** | **14,375.1** | **13,705.1** | **670.0** | 99.6 |
| ბიუჯეტით გათვალისწინებული ტრანსფერები | **807.9** | **807.9** | **0.0** | **770.7** | **770.7** | **0.0** | 95.4 |
| მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად | **807.9** | 807.9 | | **770.7** | 770.7 | | 95.4 |
| ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | **13,617.9** | **12,947.9** | **670.0** | **13,604.5** | **12,934.5** | **670.0** | 99.9 |
| საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხები | **9,663.9** | **8,993.9** | **670.0** | **9,650.5** | **8,980.5** | **670.0** | 99.9 |
| სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | **704.0** | 704.0 | | **704.0** | 704.0 | | 100.0 |
| სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო თანხები | **3,250.0** | 3,250.0 | | **3,250.0** | 3,250.0 | | 100.0 |

**გრანტები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 14597,6 ათასი ლარი, რაც გეგმის 100,6%-ია (გეგმა საანგარიშო პერიოდისათვის 14515,9 ათასი ლარი), მათ შორის: მიზნობრივი ტრანსფერი დელეგირებული უფლებამოსილების განსახორციელებლად 770,7 ათასი ლარი („საზოგადოებრივი ჯანმრთელობის შესახებ“ საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამხედრო ვალდებულებისა და სამხედრო სამსახურის შესახებ“ და სამხედრო სარეზერვო სამსახურის შესახებ'' საქართველოს კანონებით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის, „სამშობლოს დაცვისას დაღუპულთა და ომის შემდეგ გარდაცვლილ მეომართა ხსოვნის უკვდავყოფის შესახებ'' საქართველოს კანონით განსაზღვრული უფლებამოსილების განხორციელებისათვის - 365,0 ათასი ლარი და საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა /

რეაბილიტაცია - 405,7 ათასი ლარი), ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები - 13604,5 ათასი ლარი, მათ / შორის: საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან გამოყოფილი თანხების (8280,5 ათასი ლარი) ფარგლებში მიმდინარეობს პროექტების დაფინანსება ეტაპობრივად, კერძოდ სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ბანოჯაში მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზის რეაბილიტაცი ბეტონის საფარით, სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია, სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში სავალი ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების სინაურიძეების უბანში და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ყუმისთავის მესამე მეთექვსმეტე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, სოფელ ცხუნკურში მესამე, მეთექვსმეტე ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით. მაღალმთიანი დასახლებების განვითარების ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ დერჩისა და დღნორისაში მისასვლელი გზის რეაბილიტაცია - 700,0 ათასი ლარი; სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების (3250,0 ათასი ლარი) ფარგლებში განხორციელდა 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად მიყენებული ზარალის ასანაზღაურებელად კერძო საცხოვრებელი სახლების დაზიანებების აღმოსაფხვრელად სამშენებლო მასალების შეძენა და მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების, საბავშვო ბაღებისა და სოფელ ოფშკვითის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები. საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის №2476 განკარგულებით სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში მიღებულია 704,0 ათასი ლარი, მათ შორის: წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა და შიდა გზების გზების მოხვნა ინერტული მასალით,სხვადასხვა ინფრასტრუქტურული პროექტების განსახორციელებლად საჭირო სამშენებლო მასალების და სასმელი წყლის ქსელის რეაბილიტაციისთვის საჭირო მასალების შესყიდვა თანმდევი ტრანსპორტირების მომსახურებით, გარე განათების მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა და სხვა.

## გ) სხვა შემოსავლები

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| **სხვა შემოსავლები** | **3,373.6** | **0.0** | **3,373.6** | **5,193.9** | **0.0** | **5,193.9** | 154.0 |
| **შემოსავლები საკუთრებიდან** | **923.6** | **0.0** | **923.6** | **1,104.1** | **0.0** | **1,104.1** | 119.5 |
| **პროცენტები** | **523.5** | | 523.5 | **576.6** | | 576.6 | 110.1 |
| **რენტა** | **400.1** | **0.0** | **400.1** | **527.6** | **0.0** | **527.6** | 131.9 |
| მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის | **380.1** | | 380.1 | **425.8** | | 425.8 | 112.0 |
| შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზუფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან | **20.0** | | 20.0 | **101.8** | | 101.8 | 509.1 |
| **საქონლისა და მომსახურების რეალიზაცია** | **1,514.0** | **0.0** | **1,514.0** | **3,039.9** | **0.0** | **3,039.9** | 200.8 |
| **ადმინისტრაციული მოსაკრებლები და გადასახდელები** | **1,444.0** | **0.0** | **1,444.0** | **2,852.7** | **0.0** | **2,852.7** | 197.6 |
| სანებართვო მოსაკრებელი | **40.0** | | 40.0 | **78.4** | | 78.4 | 196.1 |
| სამხედრო სავალდებულო სამსახურის გადავადების მოსაკრებელი | **0.0** | | | **0.4** | | 0.4 | |
| სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი | **1,254.0** | | 1,254.0 | **2,562.3** | | 2,562.3 | 204.3 |
| ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის | **150.0** | | 150.0 | **211.5** | | 211.5 | 141.0 |
| **არასაბაზრო წესით გაყიდული საქონელი და მომსახურება** | **70.0** | **0.0** | **70.0** | **187.2** | **0.0** | **187.2** | 267.5 |
| შემოსავლები მომსახურების გაწევიდან | **70.0** | | 70.0 | **187.2** | | 187.2 | 267.5 |
| **ჯარიმები, სანქციები და საურავები** | **936.0** | | **936.0** | **969.9** | | **969.9** | 103.6 |
| **ნებაყოფლობითი ტრანსფერები, გრანტების გარეშე** | **0.0** | | | **79.9** | | **79.9** | |

**სხვა შემოსავლები** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 5193,9 ათასი ლარი, რაც გეგმის 154% -ია (გეგმა – 3373,6 ათასი ლარი), მათ შორის: პროცენტის სახით მიღებულია 576,6 ათასი ლარი, მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის - 425,8 ათასი ლარი, შემოსავალი მიწის იჯარიდან და მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემიდან - 101,8 ათასი ლარი, სანებართვო მოსაკრებელი - 78,4 ათასი ლარი, სათამაშო ბიზნესის მოსაკრებელი (სისტემურ - ელექტრონული ფორმის თამაშებიდან) – 2562,3 ათასი ლარი, ადგილობრივი მოსაკრებელი დასახლებული ტერიტორიის დასუფთავებისათვის - 211,5 ათასი ლარი, შემოსავლები მომსახურების გაწევიდან - 187,2 ათასი ლარი (სახელმწიფო შენობებისა და ნაგებობების იჯარაში ან მართვაში გადაცემიდან მიღებული შემოსავალი, ადგილობრივი თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული შენობებისა და ნაგებობის იჯარაში ან მართვაში (უზურფრუქტი, ქირავნობა და სხვა) გადაცემოდან მიღებული შემოსავალი, ჯარიმები, სანქციები და საურავები - 969,9 ათასი ლარი, ნებაყოფლობითი ტრანსფერები გრანტების გარეშე - 79,9 ათასი ლარი.

სხვა შემოსავლების გეგმის 154%-ით შესრულება უმეტესწილად განაპირობა სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებიდან მიღებული მოსაკრებლის 1 308,3 ათასი ლარით გადაჭარბებამ. გამომდინარე იქედან რომ 2023 წლის დასაწყისში, მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ფუნქციონირებდა ერთი კაზინო, (რომლის წლიური გადასახდი შეადგენს 1 000 000 ლარს) და წლის განმავლობაში დაემატა ორი გადამხდელი. აღნიშნულმა განაპირობა სისტემურ ელექტრონული ფორმის თამაშებიდან მიღებული მოსაკრებლის 1 308,3 ათასი ლარით გადაჭარბება.

გადაჭარბებითაა შესრულებული „შემოსავლები საკუთრებიდან“, გამომდინარე იქედან რომ წლის განმავლობაში მოხდა მოხდა უძრავი ქონების იჯარით გაცემა.

ჯარიმებიდან მიღებული შემოსავლების გეგმის გადაჭარბება (საგზაო ჯარიმები განაპირობა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ახალი ვიდეო სამეთვალყურეო კამერების დამონტაჟებამ.

**დ) არაფინანსური აქტივების კლება** ბიუჯეტში მთლიანობაში მობილიზებულია 1650,6 ათასი ლარი. გეგმა შესრულდა 118,7%-ით, (გეგმა 1390,8 ათასი ლარი), მათ შორის: ძირითადი აქტივები - 97,7 ლარი, არაწარმოებული აქტივების (მიწა) გაყიდვიდან - 1552,9 ლარი. არაფინანსური აქტივების კლების - გეგმის გადაჭარბებით შესრულება განაპირობა სახელმწიფოს მიერ უძრავი ქონების გაყიდვამ. გაყიდვიდან მიღებული შემოსავლის ადგილობრივ ბიუჯეტში აკუმულირება ხდება პროცენტული მაჩვენებლების მიხედვით.




**ე) ხარჯები ეკონომიკური მუხლების მიხედვით**

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | სულ | მათ შორის: სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | მათ შორის: საკუთარი შემოსავლები | |
| II. ხარჯები | 27,413.2 | 3,218.5 | 24,194.6 | 26,039.5 | 3,085.9 | 22,953.6 | 95.0 |
| შრომის ანაზღაურება | 4,244.8 | 146.2 | 4,098.6 | 4,185.7 | 144.0 | 4,041.8 | 98.6 |
| საქონელი და მომსახურება | 5,656.9 | 1,087.9 | 4,568.9 | 5,159.0 | 1,013.4 | 4,145.5 | 91.2 |
| ძირითადი კაპიტალის მომსახურება | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0,0 |
| პროცენტი | 20.4 | 0.0 | 20.4 | 20.3 | 0.0 | 20.3 | 99.6 |
| სუბსიდიები | 11,659.2 | 139.9 | 11,519.3 | 11,252.5 | 139.7 | 11,112.9 | 96.5 |
| გრანტები | 1,285.0 | 0.0 | 1,285.0 | 1,234.9 | 0.0 | 1,234.9 | 96.1 |

| | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| სოციალური უზრუნველყოფა | 1,722.2 | 32.0 | 1,690.2 | 1,666.3 | 32.0 | 1,634.3 | 96.8 |
| სხვა ხარჯები | 2,824.7 | 1,812.5 | 1,012.2 | 2,520.7 | 1,756.8 | 763.9 | 89.2 |




### ვ) ბიუჯეტის არაფინანსური აქტივების ცვლილება

არაფინანსური აქტივების ზრდის მაჩვენებელი პროგრამული კლასიფიკაციის კოდების მიხედვით შემდეგია:

ათასი ლარი:

| ორგ. კოდი | დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | % |
|---|---|---|---|---|
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 167.2 | 160.4 | 95.9 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 15,776.0 | 13441.3 | 85.2 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | 596.4 | 530.9 | 89.0 |
| 04 00 | განათლება | 456.6 | 420.0 | 92.0 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | 822.1 | 767.9 | 93.4 |
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 28.6 | 27.8 | 96.9 |
| | სულ | 17,846.9 | 15,348.3 | 86.0 |

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | % |
|---|---|---|---|
| **არაფინანსური აქტივების კლება** | **1,390.8** | 1650.6 | 118.7 |
| **ძირითადი აქტივები** | 72.5 | 97.7 | 134.8 |
| **არაწარმოებული აქტივები** | 1318.347 | 1552.9 | 117.8 |
| მიწა | 1318.3 | 1552.9 | 117.8 |

ზ) ვალდებულებები

ათასი ლარი

| დასახელება | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | % |
|---|---|---|---|
| ვალდებულებების ზრდა | 0,0 | 0,0 | 0,0 |
| ვალდებულებების კლება | 55,6 | 55,6 | 100 |

*სსიპ „საქართველოს მუნიციპალური განვითარების ფონდსა" და წყალტუბოს მუნიციპალიტეტს შორის გაფორმებული „საქართველოს მყარი ნარჩენების მართვის პროექტის" ქონების გადაცემის ხელშეკრულების ფარგლებში გაცემული სესხის შესაბამისად 2023 წლის 01 იანვრისთვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ვალი შეადგენდა 232,1 ათ ლარს, 28 აპრილს და 28 ოქტომბერს ვალი შემცირდა 75,9 ათასი ლარით, რის შემდეგაც მუნიციპალიტეტს დარჩა ვალი 156,2 ათ. ლარი.*

თ) შესრულება ბიუჯეტის ხარჯებისა და არაფინანსური აქტივების ფუნქციონალური კლასიფიკაციის მიხედვით

ათასი ლარი

| ფუნქციონალ. კოდი | დ ა ს ა ხ ე ლ ე ბ ა | გეგმა | ხარჯი | შესრულება |
|---|---|---|---|---|
| 7.1 | საერთო დანიშნულების სახელმწიფო მომსახურება | 6559.8 | 6365.4 | 97.0 |
| 7.4 | ეკონომიკური საქმიანობა | 14255.6 | 12147.0 | 85.2 |
| 7.5 | გარემოს დაცვა | 3807.7 | 3732.3 | 98.0 |
| 7.6 | საბინაო-კომუნალური მეურნეობა | 7979.9 | 7411.3 | 92.9 |
| 7.7 | ჯანმრთელობის დაცვა | 183.0 | 179.1 | 97.9 |
| 7.8 | დასვენება, კულტურა და რელიგია | 4920.6 | 4746.0 | 96.5 |
| 7.9 | განათლება | 5068.9 | 4876.0 | 96.2 |
| 7.10 | სოციალური დაცვა | 2484.5 | 2396.1 | 96.4 |

ი) მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება

1. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ცვლილება - - 235.8 ათასი ლარის ოდენობით.
2. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების ზრდა 2599,4 ათასი ლარის ოდენობით.
3. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ფინანსური აქტივების კლება 0,0 ათასი ლარის ოდენობით.

მიმდინარე წლის დასაწყისში არსებული ნაშთიდან 4 309 297 ლარიდან იანვრის ცვლილებით მიიმართა 3 484 016 ლარი (წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2022 წლის ბიუჯეტის გარდამავალი ვალდებულებები 1 389 563 ლარი; ნაშთით ურბანული წარმოსახვის პროგრამის ფარგლებში 83 000 ლარი; 2022 წლის გარდამავალი პროექტები, რომელთა ტენდერები გამოცხადდა 2022 წელს - 160 299 ლარი და თავისუფალი ნაშთიდან ხარჯებში გაიწერა 1 851 154 ლარი). სექტემბრის ცვლილებით 413 000 ლარი თავისუფალი ნაშთიდან. განკარგულების ეკონომიებიდან 209 311 ლარი (საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 განკარგულებით - 3749 ლარი და 2023 წლის 23 ოქტომბრის #1875 განკარულებით 205 562 ლარი) მიიმართა ახალ პროექტებზე, ხოლო წლის დასაწყისში არსებულ ნაშთში 188 591 ლარი წარმოადგენს სხვადასხვა განკარგულების ეკონომიას, კერძოდ:

| თარიღი | ანგარიშის ნომერი | დასახელება | ბალანსი | |
|---|---|---|---|---|
| 01/01/2024 | 3002500019 | 147-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა._GEL_01/5600/23 | 4,915.39 | ეკონომია 2019 45 განკარგულება |
| 01/01/2024 | 3002500027 | 128-„საქართველოს 2020 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ“ საქართველოს კანონის მე-20 მუხლის მე-3 პუნქტის საფუძველზე და „საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით გათვალისწინებული საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში დასაფინანსებელი პროექტების შერჩევის პროცედურებისა და კრიტერიუმების დამტკიცების შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2018 წლის 28 დეკემბრის №654 დადგენილების შესაბამისად_GEL_01/5600/23 | 47,769.00 | ეკონომია. 2752 სოფლის პროექტი |
| 01/01/2024 | 3002500029 | 463-ქალაქ წყალტუბოს მიმდებარე ტერიტორიაზე ბიზნესისათვის მიმზიდველი გარემოს შექმნის მიზნით, თამარ მეფის ქუჩის გაგრძელებაზე, სოფელ გვიშტიბში, შპს „ჰერბია"-სთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ასფალტო ბეტონის საფრით._GEL_01/5600/23 | 83,139.71 | ეკონომია. #1419_განკ._16/08/2021 |
| 01/01/2024 | 3002500041 | 240-საჯარო სკოლის მოსწავლეების ტრანსპორტით ურუნველყოფა_GEL_01/3200/23 | 3,153.88 | ეკონომია.2019 |
| 01/01/2024 | 3002500049 | 4-სტიქიური მოვლენების შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების მიზნით_GEL_01/5600/23 | 3,005.60 | ეკონომია.131 2020 წლის |
| 01/01/2024 | 3002500051 | 968-სოფელ ცხუნკური გაღმა ჩუნეში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია (ბეტონის საფარით)_GEL_01/5600/23 | 25,402.00 | ეკონომია 2475 განკარგულება |
| 01/01/2024 | 3002500059 | 1205-ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია._GEL_01/5600/23 | 1,963.00 | ეკონომია 2475 განკარგულება |

| | | | | |
|---|---|---|---|---|
| 01/01/2024 | 3002500111 | 1876-წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელი ქვიტირის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია_GEL_01/5600/23 | 1,553.95 | ეკონომია |
| 01/01/2024 | 3002500115 | 21-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა_GEL_01/5600/23 | 4,944.42 | 2021 წლის 168 ეკონომია |
| 01/01/2024 | 3002500145 | 2503-ქალაქ წყალტუბოში, „ცივი ტბის" მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული თანმხლები ინფრასტრუქტურის გაუმჯობესება და სანიტარული წერტილების მოწყობა_GEL_01/5600/23 | 1,265.00 | ეკონომია 2022 წელი.ცივი ტბა |
| 01/01/2024 | 3002500153 | 21-სოფლის მხარდაჭერის პროგრამა_GEL_01/5600/23 | 10,458.58 | 2022 წლის 277 განკარგულება ეკონომია |
| 22207 | | სერგეი მესხის სახელობის წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ რიონის საჯარო სკოლა | 1021.18 | საქართველოს მთავრობის 2018 წლის 29 ოქტომბრის №1993 |

## II თავი. მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის ასიგნებების შესრულება

მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის გადასახდელების დაფინანსებამ 41443,4 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმის (45315,6 ათასი ლარი) 91,5 პროცენტია.

**ხარჯების** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 27413,2 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 26039,5 ათასი ლარი, რაც გეგმის 95%-ია.

**არაფინანსური აქტივების ზრდის** დაზუსტებულმა გეგმამ შეადგინა 17846,9 ათასი ლარი, გაწეულმა ხარჯმა - 15348,3 ათასი ლარი, რაც გეგმიური მაჩვენებლის 86 %-ია.

**პრიორიტეტების მიხედვით დაფინანსების სტრუქტურა შემდეგია:**

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 00 00 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | **45,315.6** | **14,170.6** | **31,145.0** | **41,443.4** | **13,177.0** | **28,266.4** | 91.5 |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | **6,332.5** | 194.4 | **6,138.1** | **5,955.6** | 183.6 | **5,772.0** | 94.0 |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | **23,732.3** | **13,279.5** | **10,452.8** | **20,833.5** | **12,349.1** | **8,484.4** | 87.8 |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | **2,586.8** | 0.0 | **2,586.8** | **2,457.1** | 0.0 | **2,457.1** | 95.0 |
| 04 00 | განათლება | **5,068.9** | 524.8 | **4,544.1** | **4,876.0** | 472.6 | **4,403.4** | 96.2 |
| 05 00 | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | **4,920.6** | 0.0 | **4,920.6** | **4,746.0** | 0.0 | **4,746.0** | 96.5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 00 | მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა | 2,674.5 | 171.9 | 2,502.6 | 2,575.1 | 171.7 | 2,403.5 | 96.3 |

1) **მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები (ორგანიზაციული კოდი 01 00) საანგარიშო პერიოდში მართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯებმა 5955,6 ათასი ლარი შეადგინა, რაც გეგმიური მაჩვენებლის (6332,5 ათასი ლარი) 94 პროცენტია.**

აღნიშნული პროგრამით დაფინანსდა შემდეგი მიმართულებები: 1. მმართველობითი ხარჯი: მუნიციპალიტეტის საკრებულოს საქმიანობა - 1523,8 ათასი ლარი, მუნიციპალიტეტის მერია - 4216,2 ათასი ლარი, ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა (დელეგირებული ფუნქცია) – 183,6 ათასი ლარი (მიზნობრივი ტრანსფერით), კადრების მომზადება - გადამზადება 32,0 ათასი ლარი.

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 01 00 | მმართველობა და საერთო დანიშნულების ხარჯები | 6,332.5 | 194.4 | 6,138.1 | 5,955.6 | 183.6 | 5,772.0 | 94.0 |
| 01 01 | საკანონმდებლო და აღმასრულებელი საქმიანობის უზრუნველყოფა | 6,312.6 | 194.4 | 6,118.2 | 5,955.6 | 183.6 | 5,772.0 | 94.3 |
| 01 01 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საკრებულო | 1,591.5 | 0.0 | 1,591.5 | 1,523.8 | 0.0 | 1,523.8 | 95.7 |
| 01 01 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია | 4,493.7 | 0.0 | 4,493.7 | 4,216.2 | 0.0 | 4,216.2 | 93.8 |
| 01 01 03 | ქვეყნის თავდაცვისუნარიანობის ამაღლების ხელშეწყობა | 194.4 | 194.4 | 0.0 | 183.6 | 183.6 | 0.0 | 94.4 |
| 01 01 04 | კადრების მომზადება-გადამზადება | 33.0 | 0.0 | 33.0 | 32.0 | 0.0 | 32.0 | 97.1 |
| 01 02 | საერთო დანიშნულების ხარჯები | 19.9 | 0.0 | 19.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |
| 01 02 01 | სარეზერვო ფონდი | 19.9 | 0.0 | 19.9 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

2. საერთო დანიშნულების ხარჯი: საანგარიშო პერიოდში, სარეზერვო ფონდიდან (გეგმა-100,0 ათასი ლარი) მერის გადაწყვეტილებით გახარჯულია 78.5 ათასი ლარი, მათ

შორის:

| № | თარიღ. | ბრძანებ. № | ბრძანების თარიღი | გამოყოფილი თანხა | საკასო ხარჯი | შენიშვნა |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1 | 17.01.2023 | 48.482302 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტში 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებული სახურავების რეაბილიტაციამდე დროებითი სამუშაოების განხორციელების მიზნით წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან თანხის გამოყოფა | 4950 | 4950 | |
| 2 | 05.06.2023 | 48.482316 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან მკლავჭიდის ახალგაზრდული ნაკრების წევრის გიგა ბერაძის მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატზე მონაწილეობისთვის თანხის გამოყოფა | 1800 | 1800 | |
| 3 | 05.06.2023 | 48.482316 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-6 ქუჩაზე დაზიანებული ხიდ-ბოგირის დაუყოვნებლივ აღდგენისათვის თანხის გამოყოფა | 60000 | 58431 | 1498 საგარანტიო |
| 4 | 03.08.2023 | 48.48232155 | მუნიციპალიტეტის ცივი ტბის ტერიტორიაზე მუნიც. ბალანსზე არსებული საკანალიზაციო ქსელის გაწმენდა/მოწესრიგება | 9950 | 9936 | |
| 5 | 25.09.2023 | 48.48232689 | ვეტერან ძიუდოისტ ზელიმ გულბიანისთვის ძიუდოს მხოპფლიო ჩწემპიონატზე მონაწილებისათვის ერთჯერად იფულადი დახმარება | 2500 | 2500 | |
| 6 | 18.12.2023 | 48.482335224 | წყალტუბოს მუნიპალიტეტის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან ა(ა)იპ მოხუცთა სახლი „იმერეთი“-სათვის თანხის გამოყოფის შესახებ | 900 | 900 | |
| | | | სულ თანხა: | 80100 | 78517 | |

1) **ინფრასტრუქტურის განვითარება (ორგანიზაციული კოდი 02 00)**

ინფრასტრუქტურის განვითარება საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 14 436,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (17959,8 ათასი ლარი) 80,4 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 02 00 | ინფრასტრუქტურის განვითარება | 23,732.3 | 13,279.5 | 10,452.8 | 20,833.5 | 12,349.1 | 8,484.4 | 87.8 |
| 02 01 | საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება | 13,815.4 | 9,340.3 | 4,475.2 | 12,141.1 | 8,501.0 | 3,640.1 | 87.9 |
| 02 01 01 | გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება | 11,321.4 | 7,980.1 | 3,341.3 | 10,374.3 | 7,605.3 | 2,769.0 | 91.6 |
| 02 01 02 | გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება | 1,182.2 | 311.5 | 870.8 | 1,163.7 | 296.3 | 867.4 | 98.4 |
| 02 01 03 | საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება | 202.9 | 0.0 | 202.9 | 3.7 | 0.0 | 3.7 | 1.8 |
| 02 01 04 | ხიდების და ბოგირების მშენებლობა | 1,108.8 | 1,048.7 | 60.1 | 599.4 | 599.4 | 0.0 | 54.1 |
| 02 02 | წყლის სისტემების განვითარება | 2,437.9 | 1,343.5 | 1,094.4 | 2,182.5 | 1,323.1 | 859.4 | 89.5 |
| 02 02 01 | სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია | 1,316.7 | 1,042.7 | 274.0 | 1,275.2 | 1,042.4 | 232.8 | 96.8 |
| 02 02 02 | სასმელი წყლით უზრუნველყოფა | 1,121.2 | 300.7 | 820.5 | 907.3 | 280.7 | 626.6 | 80.9 |
| 02 03 | გარე განათება | 900.4 | 0.0 | 900.4 | 886.4 | 0.0 | 886.4 | 98.5 |
| 02 03 01 | გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია | 700.0 | 0.0 | 700.0 | 694.5 | 0.0 | 694.5 | 99.2 |
| 02 03 02 | გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა | 200.4 | 0.0 | 200.4 | 191.9 | 0.0 | 191.9 | 95.8 |
| 02 04 | ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია | 2,688.5 | 1,885.6 | 802.9 | 2,579.0 | 1,827.2 | 751.8 | 95.9 |
| 02 05 | ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება | 565.4 | 0.0 | 565.4 | 378.2 | 0.0 | 378.2 | 66.9 |
| 02 06 | კეთილმოწყობის ღონისძიებები | 2,043.7 | 0.0 | 2,043.7 | 1,635.7 | 0.0 | 1,635.7 | 80.0 |
| 02 06 03 | საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა-რეაბილიტაცია | 641.7 | 0.0 | 641.7 | 330.4 | 0.0 | 330.4 | 51.5 |
| 02 06 04 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება | 1,402.0 | 0.0 | 1,402.0 | 1,305.2 | 0.0 | 1,305.2 | 93.1 |
| 02 07 | სოფლის მხარდაჭერის პროგრამა | 711.9 | 710.2 | 1.7 | 698.7 | 697.8 | 0.9 | 98.1 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 02 08 | საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა | 127.3 | 0.0 | 127.3 | 68.2 | 0.0 | 68.2 | 53.6 |
| 02 09 | სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა | 116.0 | 0.0 | 116.0 | 5.9 | 0.0 | 5.9 | 5.1 |
| 02 10 | მოქალაქეთა ჩართულობა | 275.8 | 0.0 | 275.8 | 257.9 | 0.0 | 257.9 | 93.5 |
| 02 11 | ოჯახების სოციალურ - ეკონომიკური გაძლიერების მხარდაჭერა | 50.0 | 0.0 | 50.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 | 0.0 |

1. ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 00)

ა) საგზაო ინფრასტრუქტურის განვითარება (პროგრამული კოდი 02 01) დაფინანსებულია 20 833,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 23 732,3 ათასი ლარის 87,8%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 01 01 გზებისა და ტროტუარების კაპიტალური შეკეთება

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 11321,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 10374,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,6 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** რეაბილიტირებული საგზაო ინფრასტრუქტურა, კაპიტალურად შეკეთებული გზები. უზრუნველყოფილია უსაფრთხო და კომფორტული მიმოსვლა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არსებული დაზიანებული და ამორტიზირებული გზების კაპიტალური შეკეთება/რეაბილიტაცია და ახალი გზის მოწყობა ასფალტო ბეტონის ან/და ბეტონის საფარით.

2023 წლის განმავლობაში წყალტუბოს მუნიციპალიტეტში რგფ-ის დაფინანსებით შესრულდა ეტაპობრივად ადგილობრივი მნიშვნელობის გზები, კერძოდ:

- სოფელ ოფურჩხეთში რიდვას უბანში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ბანოჯაში მე-15 და მე-18 ქუჩებზე გზის რეაბილიტაცი ბეტონის საფარით;

- სოფელ ხომულისა და ქვილიშორის დამაკავშირებელი გზის (შეერთება) რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- ქალაქ წყალტუბოში ავალიანისა და რუსთაველის ქუჩების კვეთაზე ასევე თამარ მეფისა და აღმაშენებლის ქუჩების კვეთაზე არსებული სანიაღვრე სისტემებისა და ასფალტის საფარის რეაბილიტაცია;
- სოფელ გეგუთში ბოდოკიების, ღალღას და ზივზივაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ გვიშტიბში მე-8 ჩიხში სავალი ნაწილის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ცხუნკურში გაღმა ჩუნეშში მეშვიდე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ტყაჩირში ჯანელიძეების სინაურიძეების უბანში და სკოლასთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ყუმისთავი მესამე მეთექვსმეტე ქუჩის საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ წყალტუბოში გურეშების უბანში გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ჟონეთში სასაფლაოსთან მისასვლელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- სოფელ ცხუნკურში მესამე, მეთექვსმეტე ქუჩის გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. რიონში ბრეგოულის და სულაქვაძეების უბნებში გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. მაღლაკში მე-12,13,16,20 ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ფარცხანაყანებში #49,50,53,55,59-ე ქუჩებზე გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მუხიანი - ოფშკვითის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით;
- წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფ. პატრიკეთში ბაზმანების, ლელეძეების და ეკლესიასთან მისასვლელი გზების რეაბილიტაცია ბეტონის საფარით.

2023 – 2024 წლების მაღალმთიანი რეგიონების პროგრამის ფარგელბში განხორციელდა სოფ. დერჩისა და დღნორისას დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით, ხოლო წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ლეხინდრისთავიდან ტყიბულის მუნიციპალიტეტის სოფელ ლეყერეთამდე საავტომობილო გზის რეაბილიტაცია ბეტონის საფარით გაგრძელდება 2024 წლის ბიუჯეტითაც.

საანგარიშო პერიოდში ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა სოფ თერნალში მე-19 და მე-20 ქუჩებზე, სოფ ზანოჯაში, სოფ გუმათში, სოფ. ტყაჩირში სინაურიძეების უბანში და სოფ წყალტუბოში 22 ქუჩაზე გზების ბეტონის საფარით რეაბილიტაცია. ასევე სოფ წყალტუბოში მე-6 და ზედა მესხეთის მე-18 ქუჩებზე გზების ცხელი ასფალტობეტონით რეაბილიტაცია.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** რეაბილიტირებული გზა 23 კმ..

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირდება 7,5 კმ გზა.

**მიღწეული მაჩვენებელი** - რეაბილიტირებულია 23,7 კმ. გზა.

**02 01 02 გზებისა და ტროტუარების მიმდინარე შეკეთება**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 1182,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1163,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,4 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მოსახლეობის კომფორტული და უსაფრთხო გადაადგილებისათვის შეკეთებული და მოწესრიგებული გზები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტის მასშტაბით გზების გარკვეული ნაწილი საჭიროებს მიმდინარე ორმოულ შეკეთებას, რათა გახანგრძლივდეს მათი ექსპლოატაციისა და გამოყენების ვადები. აქედან გმომდინარე, მნიშვნელოვანია გზების მიმდინარე შეკეთება. აღნიშნული ქვეპროგრამით განხორციელდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეაბლიტირებული გზების მოვლა, რაც გულისხმობს წყალტუბოს მუნიციპალიტეტში შიდა გზების თოვლის საფარისაგან გაწმენდას, სტიქიის შედეგად მიყენებული ზიანის აღმოფხვრასა და ორმოულ შეკეთებას.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 01 03 საგზაო ნიშნები და უსაფრთხოება

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 202,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 1,8 %-ია. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთში და წყალტუბო ქუთაისის დამაკავშირებელი გზის მონაკვეთზე სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი ვიდეოკამერებისა და ზოგადი ხედვის კამერების შეძენა-მონტაჟი-ინსტალაციისთვის ტენდერის გამოცხადება განხორციელდა 2023 წლის 20 ნოემბერს, ხოლო დაკონტრაქტდა 2023 წლის 18 დეკემბერს, სამუშაოების მიმდინარეობა კი გაწერილი იყო 90 კალენდარულ დრეზე. ყოველივე ზემოთ ხსენებულის გათვალისწინებით, სამუშაოებისთვის გამოყოფილი თანხის ჩარიცხვა და ათვისება უნდა განხორციელდეს 2024 წელს.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** უსაფრთხოების დონის ამაღლება, საგზაო შემთხვევების რაოდენიბის შემცირება და მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება. დანაშაულის აღმოფხვრა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სატრანსპორტო საშუალებების სახელმწიფო ნომრის ამომცნობი და ზოგადი ხედვის კამერების მოვლა-შენახვა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განთავსებული ვიდეო სამეთვალყურეო კამერის შსს 112-ის ერთიან ქსელთან დაერთების და ყოველთვიური მომსახურება; ასევე დაგეგმილი იყო სოფელ გეგუთში ნომრის ამომცნობი ვიდეო სამეთვალყურეო ტექნიკის შეძენა. საანგარიშო პერიოდში მოხდა ხელშეკრულების გაფორმება,ხოლო ანაზღაურება განხორციელდება მუნიციპალიტეტის 2024 წლის ბიუჯეტით, სადაც გადატანილი იქნება ვალდებულები სახით.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

**02 01 04 ხიდების და ბოგირების მშენებლობა**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 1108,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 599,4 ათასი ლარით. გამოყოფილი თანხის სრულად ათვისება ვერ მოხდა, ვინაიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის დაღრმავება და გაფართოების, ასევე მდინარეზე ასრსებული სამი ხიდ-ბოგირის სარეაბილიტაციოსამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს 2024 წელს.

საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის სარეზერვო ფონდიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში მე-6 ქუჩაზე დაზიანებული ხიდ-ბოგირის აღდგენა.

განხორციელდა მექვენის დღნორისა-საჩხეურისა და ლეხინდრისთავის დამაკავშირებელი მდ. ლაიშაზე დაზიანებული ხიდის რეაბილიტაცია.

,,სტიქიის შედეგების სალიკვიდაციო ღონისძიებების განხორციელების თაობაზე" საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის #116 განკარგულებით დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკში, მდინარე ოღასკურას კალაპოტის დაღრმავება და გაფართოების, ასევე მდინარეზე ასრსებული სამი ხიდ-ბოგირის რეაბილიტაცია.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

**ბ) წყლის სისტემების განვითარება (პროგრამული კოდი 02 02 )** დაფინანსებულია 2182,5 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2437,9 ათასი ლარის 89,5%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

02 02 01 სანიაღვრე სისტემების ექსპლოატაცია / რეაბილიტაცია

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 1275,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1316,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 96,8 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** სანიაღვრე სისტემის მოწესრიგებით გაზრდილია ნალექების გამტარუნარიანობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** მიმდინარე პერიოდისთვის დაფინანსდა საქართველოს მთავრობის 2023 წლის 20 იანვრის №116 განკარგულების ფარგლებში მიმდინარე წლის 13-14 მაისს ძლიერი სტიქიური წვიმის შედეგად წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მექვენის, ოფურჩხეთის, დრნორისისა და ცხუნკურის ადმინისტრაციულ ერთეულებში შემავალი სოფლების სანიაღვრე არხების გაწმენდა.

საანგარიშო პერიოდისათვის ადგილობრივი ბიუჯეტიდან დაფინანსდა ქ. წყალტუბოში გოგებაშვილისა და ფალიაშვილის ქუჩების კვეთაზე, სარაჯიშვილისა და კოსტავას ქუჩების კვეთაზე და დედაენის მე-4 შესახვევში სანიაღვრე არზხების მოწყობა-რეაბილიტაცია.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

02 02 02 სასმელი წყლით უზრუნველყოფა

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 1121,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 907,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 80,9 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მუნიციპალიტეტის მოსახლეობას გააჩნია შეუფერხელები წვდომა სასმელ წყალზე.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სასმელი წყლით უზრუნველყოფის ქვეპროგრამა ითვალისწინებს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული წყალმომარაგების ქსელის (მათ შორის, წყლის სათავე ნაგებობების, წყლის მაგისტრალების და სხვა) კაპიტალურ რეაბილიტაციას. საჭიროების შემთხვევაში ასევე ხორციელდება ახალი წყალმომარაგების ქსელის მოწყობის სამუშაოები. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა სასმელი წყლის კომუნალური ხარჯის ანაზღაურება. ასევე წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფლებში სასმელი წყლის ქსელების სარეაბილიტაციოდ წყლის მილებისა და მექანიკური ქუროების შესყიდვის სამუშაოები. განხორციელდა სოფ ცხუნკურში, მაღლაკში, ხომულსა და სოფ. წყალტუბოში სასმელი წყლის ქსელის რეააბილიტაცია - მოწყობის სამუშაოები. სოფ. ყუმისთავში მოეწყო სასმელი წყლის რეზერვუარი და მიდინარეობს წყლის სიტემის რეაბილიტაცია.

ხოლო ,,საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან მუნიციპალიტეტებისთვის თანხის გამოყოფის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2022 წლის 29 დეკემბრის #2475 განკარგულების ფარგლებში განხორციელდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჯიმასტაროში სასმელი წყლის მაგისტრალისა და ქსელის მოწყობის სამუშაოები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** რეაბილიტირებულია სასმელი წყლის ქსელი სიგრძით 1,8 კმ.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირდება სასმელი წყლის ქსელი სიგრძით 5,6 კმ.

**მიღწეული მაჩვენებელი** - რეაბილიტირდა სასმელი წყლის ქსელი სიგრძით 10 კმ.

**გ) გარე განათება (პროგრამული კოდი 02 03)** დაფინანსებულია 886,4 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 900,4 ათასი ლარის 98,5%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**02 03 01 გარე განათების ქსელის ექსპლოატაცია**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 700,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 694,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,2%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მთელი წლის მანძილზე გარე განათების სისტემა ფუნქციონირებს გამართულად.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილებისათვის აუცილებელია ქალაქის გარე განათების ქსელის შეუფერხებელი ფუნქციონირება, ასევე, ახალი ლედ ტიპის ეკონომიური სანათების დაყენებით ელექტროენერგიის ხარჯის შემცირება. გარე განათების ქსელის მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯის ანაზღაურებისთვის გათვალისწინებული ასიგნებები ხმარდება წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული, მუნიციპალიტეტის ბალანსზე აღრიცხულ განათების წერტილების მიერ მოხმარებული ელექტროენერგიის ხარჯების ანაზღაურებას.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

**02 03 01 გარე განათების ახალი ქსელის მოწყობა**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 200,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 191,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,8%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** გამართულად ფუნქციონირებადი გარე განათების ქსელი.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ბანოჯაში, სათაფლიის მღვიმესთან მისასვლელ გზაზე არსებული გარე განათების ქსელის რეაბილიტაციის სამუშაოები; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშის გადასახვევიდან ნიკო ლორთქიფანიძის სახელობის საჯარო სკოლამდე გარე განათების ქსელის მოწყობის სამუშაოები; სოფელ ქვიტირში და სოფელ ბანოჯაში გარე განათების ქსელის მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, კერძოდ ქალაქსა და სოფლებში გარე განათების ქსელის

ექსპლოატაციისათვის და სხვადასხვა სამუშაოების შესასრულებლად ამწე კალათის შეძენა; ახალ ქსელზე დაერთებები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - მოეწყო გარე განათების ქსელი სიგრძით 24 კმ.

**დ) ავარიული შენობების და სახლების რეაბილიტაცია ( პროგრამული კოდი 02 04)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 2688,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 2579,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,9 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მოქალაქეებისთვის შექმნილი უსაფრთხო გარემო.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის ფარგლებში დაფინანსდა 2023 წლის 10-13 იანვარს მომხდარი სტიქიის (ძლიერი ქარი) შედეგად დაზიანებულიწ 47 მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსის (ქალაქ წყალტუბოში, კოლხეთის ქუჩის №15, 9 აპრილის ქუჩის №13 და დედაენის ქუჩის მე-2 შესახვევში მდებარე №2 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №1, ფალიაშვილის ქუჩის №2, კოლხეთის ქუჩის №17, ასევე გოგებაშვილის ქუჩის №2 და №2 ა კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, ტაბიძის ქუჩის №7, შანიძის ქუჩის №4ა, დედა-ენის ქუჩის №7, დედა-ენის ქუჩის 1-ელ ჩიხში №2 და №4, ჭავჭავაძის ქუჩის №8ა, ზესიკის ქუჩის №11, თამარ მეფის ქუჩის №1 და №3 კორპუსების, სოფელ მაღლაკში მე-2 ქუჩაზე მდებარე №15 და სვანების დასახლებაში (იმერეთის საყრდენი პუნქტი) მდებარე ბინების, სოფელ ფარცხანაყანევში (კოპიტნარის დასახლება) №1, №3, №10 და №12 კორპუსების, სოფელ მუხიანი (მეფრინველეობის დასახლება) №1, №2 და №3 ბინების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, 9 აპრილის ქუჩის №7 და №9, თამარ მეფის ქუჩის №9, №11 და №18 კორპუსების, ასევე თამარ მეფის ქუჩის №19 კორპუსის II სადარბაზოს სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, ზესიკის ქუჩის №1, №5, №7, №9, №13 და №15, ჭავჭავაძის ქუჩის №9 და დედა-ენის №5 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, თაყაიშვილის №5, დედა-ენის ქუჩის №20, 9 აპრილის

ქუჩის 1-ელ ჩიხში მდებარე №1 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები; ქალაქ წყალტუბოში, თბილისის ქუჩის №1, დედა-ენის ქუჩის №11 და სოფელ გეგუთში (ვარცისჰესის დასახლებაში) მდებარე №3 და №4 კორპუსების სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები) და 9 სახელმწიფო დაწესებულების (№4 საბავშვო ბაღის, სოფლებში მესხეთის №9, პატრიკეთის №12, ოფშკვითის №14, ახალი საყულიის №16, რიონის №19 საბავშვო ბაღისა და სოფელ ოფშკვითის სოფლის კლუბის სახურავების რეაბილიტაციის სამუშაოები) სახურავების შეკეთების სამუშაოები. ხოლო 232 კერძო საცხოვრებელი სახლის მფლობელს დაზიანებული სახურავების შეკეთებისთვის გადაეცა გადახურვისათვის საჭირო მასალები (გოფრირებული მოთუთიებული თუნუქი, სამშენებლო ბლოკები, ხის მასალები (კოჭი, ფიცარი)).

ასევე ადგილობრივი დაფინანსებით განხორციელდა სოფელ ოფურჩხეთში საბავშვო ბაღის ტერიტორიაზე არსებული შენობის სარემონტო სამუსაოები, ქალაქ წყალტუბოში #4 საბავშვო ბაღის და ინკლუზიური ცენტრის ეზოს კეთილმოწყობა. ქალაქ წყალტუბოში შენობების სარდაფებიდან წვიმის დროს ჩადინებული წყლის ამოსატუმბი 2 ტუმბოს შესყიდვა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

**ე) ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება (პროგრამული კოდი 02 05)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 565,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 378,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 66,9 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** გაუმჯობესებული და კომფორტული საცხოვრებელი გარემო.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის ფარგლებში საანგარიშო პერიოდში თანადაფინანსებით საცხოვრებელი კორპუსების სახურავებისა და *ფასადების* რეაბილიტაცია განხორციელდა სხვადასხვა ლოკაციაზე, კერძოდ დასდა 16

საცხოვრებელი კორპუსის სახურავი, 4 მისამართზე სამუშაოები დასრულების პროცესშია. 1 მისამართზე გამოცხადებულია ტენდერი და შესაბამისი სამუსაოები 2024 წელს დაიწყება. ამ პროგრამის ფარგლებსი დევნილთა სამინისტროდან შეთანხმებით მუნიციპალიტეტის მერიამ დააფინანსა დევნილთა დაზიანებული სახურავების შეკეთებითი სამუშაოები სოფ. ფარცხანაყანევში, კოპიტნარის დასახლებაში#7, ქალაქ წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩის მე-3 შესახვევის #8, აფხაზეთის ქუჩის #14 და #16 კორპუსები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** თანადაფინანსებით განხორციელდა 17 პროექტი.

**დაგეგმილი მაჩვენებელი -** თანადაფინანსებით განხორციელდება 11 პროექტი.

**მიღწეული მაჩვენებელი** - თანადაფინანსებით განხორციელდა 16 პროექტი, 4 დაუსრულებელია.

**ვ) კეთილმოწყობის ღონისძიებები (პროგრამული კოდი 02 06)** დაფინანსებულია 1635.7 ათასი ლარით (გეგმიური მაჩვენებლის 2043.7 ათასი ლარის გეგმის 80%-ია) შემდეგ ქვეპროგრამებზე:

**საზოგადოებრივი სივრცეების მოწყობა - რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 02 06 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა 641.7 ათასი ლარი, დაფინანსდა - 330.4 ათასი ლარი,** რაც გეგმის 51.5 %-ია. გამოყოფილი თანხის ათვისება ვერ მოხდა სრულად, ვინაიდან წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ჩუნეშში, ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეტრისა და საპირფარეშოს დარჩენილი ნაწილის რეაბილიტაცია-მოწყობის სამუშაოებისთვის და წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ ცხუნკურში სკვერის მოწყობის სამუშაოებისთვის გათვალისწინებული თანხის დარჩენილი ნაწილის ჩარიცხვა უნდა განხორციელდეს 2024 წელს, ვინაიდან სამუშაოები დასრულდება 2024 წელს.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მოსახლეობის სამოქალაქო აქტივობების სრულყოფილად განხორციელების მიზნით მოწესრიგებულია და რეაბილიტირებულია მუნიციპალიტეტში არსებული სივრცეები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა ქალაქ წყალტუბოში კეცხოველის ქუჩაზე სკვერისა და ღია ამფითეატრის მოწყობის, ასევე გოგებაშვილის ქუჩაზე სკვერის მოწყობის, სოფელ ქვიტირში მუნიციპალიტეტის ბალანსზე არსებული ყოფილი დაწყებითი სკოლის ამჟამად სპორტული დარბაზის ჭერის შეკეთება. სოფელ გუმათში და სოფელ ქვედა მესხეთში ბროწეულას

დასახლებაში ტრენაჟორების მოწყობის სამუშაოები. ასევე მუნიციპალიტეტის მიერ საერთაშორისო ორგანიზაციებიდან მოგებული გრანტით მიმდინარეობს სოფელ ჩუნეშში ნიკო ლორთქიფანიძის სახლ-მუზეუმის ეზოში ამფითეატრისა და საპირფარეშოს რეაბილიტაცია - მოწყობის სამუშაოები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** მოწყობილი სკვერების რაოდენობა 1.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - მოეწყობა 6 საზოგადოებრივი სივრცე.

**მიღწეული მაჩვენებელი** - მოეწყო 6 საზოგადოებრივი სივრცე.

**წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობის ღონისძიებები, გამწვანება - განაშენიანება (პროგრამული კოდი 02 06 04)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

**2023 წლის გეგმა** 1402.0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1305.2 ათასი ლარით, რაც გეგმის 93.1%-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** გაუმჯობესებული ქალაქის იერსახე;

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება შემდეგი ღონისძიებები: გარე განათების, დეკორატიული განათების სრულფასოვანი ფუნქციონირების უზრუნველყოფა; სანიაღვრე არხების გაწმენდას, მოვლა-პატრონობას, ცივი ტბისა და ცივი ტბისგან გამომდინარე არხების მოვლა - პატრონობას; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე წვრილფეხა ან / და მსხვილფეხა პირუტყვის მეთვალყურეობის ქვეშ ან მეთვალყურეობის გარეშე ყოფნის აღკვეთა; მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული შუქნიშნებისა და ვიდეოსამეთვალყურეო სისტემის მოვლა-პატრონობა; ქალაქისა და მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიების გამწვანებაზე ზრუნვა, სკვერებისა და ხე-ნარგავების მოვლა-პატრონობა; ქუჩების სეზონური მორწყვა; შენობების ფასადების რეაბილიტაცია; სატვირთო ავტომობილის შეძენა.

საანგარიშო პეიოდში მოიჭრა სტიქიის შედეგად დაზიანებული ხეები: დედაენის ქუჩაზე 3 ალვის ხე, ტაბიძის ქუჩაზე 8 ნაზვის ხე, წყალტუბო - ქუთაისის გზატკეცილზე დამუშავდა 10 ნაძვის ხე, კოპიტნარის დასახლებაში მოიჭრა 6 ჭადრის ხე, ბესიკის ქუცაზე 1 მუხის ხე, წყალტუბო - ბანოჯის გზატკეცილზე 2 ნაძვის ხე, დამუშავდა პარკის შიდა პერიმეტრი დაზიანებული ნაძვის ხეებისაგან ( სამი ნაძვი და ორი ჭადარი), წყალტუბო - მაღლაკის გზატკეცილის მიმართულებით 3 ალვის ხე. ქუთაისი - წყალტუბოს გზატკეცილზე სტიქიიდან წაქცეული 3 ნაძვის ხის დამუშავება, გურამიშვილის ქუჩაზე 1 ნაძვის ხე, სტიქიიდან წაქცეული დედაენის ქუჩაზე ორი ალვის ხე. ასევე

გასუფთავებული იქნა წყალტუბოს ტერიტორია სტიქიიდან ჩამოყრილიხის ტოტებისაგან. გაითიბა პარკის გარე და შიდა პერიმეტრები. დაირგო ახალი ჯიშის ხეები (145 ძირი). ასევე განახლდა ბზების ხეივანი.

მოქალაქეთა წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე საშეშე მასალით უზრუნველყოფილ იქნა 20-მდე სოციალურად დაუცველი ოჯახი.

აღდგენილი იქნა დაზიანებული გარე განათების სისტემა, როგორც ქალაქის ტერიტორიაზე ასევე მიმდებარე სოფლებში (ქალაქში - გურამიშვილის, 9 აპრილის, აფხაზეთის, დედა ენის, ჭავჭავაძის, ბარათაშვილის, ქუთაისის ქუჩაზე, ლერმონტოვის და კოსტავას ქუჩაზე; ხოლო სოფლებში ოფურჩხეთში, მაღლაკში, ფარცხანაყანებში, ქვიტირსა და მესხეთში).

საანგარიშო პერიოდში მოხდა საახალწლო განათების მოწყობა - დამონტაჟება.

გაწმენდილი იქნა ცენტრალური პარკის ტერიტორიაზე, რუსთაველის, დედა ენის, ჭავჭავაძის, ლერმონტოვის, სამაკაშვილის ქუჩებზე 72 სანიაღვრე ჭა. გაწმენდილი იქნა ასევე აფხაზეთის ქუჩაზე და ცენტრალურ პარკში მეხუთე აბაზანიდან სილამაზის წყარომდე არსებული სანიაღვრე არხები და სანიაღვრე ჭები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს დარგული ხე-მცენარეების რაოდენობა 150.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ზ) სოფლის მხარდაჭერის პროგრამა (პროგრამული კოდი 02 07)**

**2023 წლის გეგმა** 711,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 698,7 ათასი ლარი, რაც გეგმის 98,1 % - ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი: განკარგულებით გამოყოფილი თანხის ათვისება.**

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სოფლის მხარდაჭერის პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები ფინანსდება საქართველოს მთვარობის განკარგულებით გამოყოფილი თანხით, რომელიც სპეციალური ფორმულით ნაწილდება მუნიციპალიტეტში არსებულ სოფლებზე. შესასრულებელი პროექტის განსაზღვრა ხდება სოფლის კრებების შესაბამისად და ხორციელდება მერიის და მოსახლეობის მიერ. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა კულტურის სახლის რეაბილიტაცია, მემორიალის რეაბილიტაცია, მინი სტადიონის რეაბილიტაციისათვის საჭირო სამშენებლო მასალების შეძენა, სოფლის შიდა საუბნო გზების რეაბილიტაციისათვის საჭირო მზა ბეტონის შესყიდვა განხორციელდა 23 სოფელში, ახალი სასაფლაოს ღობის მოწყობა, სანიაღვრე არხების მოწყობა, სასმელის წყლის ქსელის რეაბილიტაციისათვის საშირო 500 ლ

ტევადობის წყლის რეზერვუარის, 50 მმ დიამეტრისა და 500 მ სიგრძის წყლის მილების, მილების გადასაბმელების, 300 მმ დიამეტრისა და 60 მ სიგრძის გოფრირებული პლასტმასის მილის და 7 მ სიგრძის ალუმინის 3 სექციანი გასაშლელი კიბის შეძენა და ა.შ.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე კმაყოფილი მოსახეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - პროგრამით მოსარგებლე მოსახლეობის არანაკლებ 90%.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებელი შენარჩუნდა.

**თ) საპროექტო - სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შეძენა (პროგრამული კოდი 02 08)**

**2023 წლის გეგმა** 127,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 68,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 53,6 %-ია. გამოყოფილი თანხის ათვისება ვერ მოხდა სრულად, ვინაიდან შესყიდვის სავარაუდო ღირებულების განსაზღვირ შემდეგ, ელექტრონული ტენდერისთვის (აუქციონის გარეშე), ,,წინადადებების მიღება დასრულებულია“ და ,,შერჩევა-შეფასება“ მინიჭების შემდეგ, პრეტენდენტების მიერ დაფიქსირებული ყველაზე დაბალი წინადადების ფასი შეადგენდა ბევრად ნაკლებს, შესაბამისად დარჩა ეკონომიები.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** სრულყოფილი საპროექტო დოკუმენტაცია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის ფარგლებში მოხდება მუნიციპალიტეტში მიმდინარე ინფრასტრუქტურული პროექტების საპროექტო-სახარჯთაღრიცხვო დოკუმენტაციის შესყიდვა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს შექმნილი საპროექტო დოკუმენტაციის რაოდენობა 105.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ი) სამშენებლო სამუშაოების ტექნიკური ზედამხედველობა და ექსპერტიზა (პროგრამული კოდი 02 09)** 2023 წლის განისაზღვრა 116,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 5,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 5,1%-ია. თანხის ათვისება ვერ მოხდა სრულად, ვინაიდან ინფრასტრუქტურისა და რეგიონალური განვითარების სამინისტროს მითითების შესასაბამისად 2023 წლის 15 აგვისტოს გამოცხადდა ელექტრონული ტენდერი სამშენებლო სამუშაოების მონიტორნგის მომსახურების შესყიდვაზე, ხოლო ხელშეკრულების გაფორმება განხორციელდა 2023 წლის 20 ოქტომბერს, შესაბამისად 50000 ლარს ზემოთ სამშენებლო სამუშაოების შესყიდვის პროცედურები შეეყოვნდა.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** შედგენილია ხარისხიანი საპროექტო და სამშენებლო სამუშაოები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სამშენებლო სამუშაოების ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით ხორციელდება შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე ორგანიზაციისა და სპეციალისტების მომსახურების შეძენა. პროგრამის ფარგლებში ფინანსდება 50,0 ათ. ლარზე მეტი თანხის ინფრასტრუქტურლი პროექტების ტექნიკური ზედამხედველობის (საექსპერტო მომსახურების) სამუშაოების შესყიდვა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -**

**დაგეგმილი მაჩვენებელი -**

**მიღწეული მაჩვენებელი -**

**კ) მოქალაქეთა ჩართულობა (პროგრამული კოდი 02 10)**

2023 წლის გეგმა 275,8 ათასი ლარი, დაფინანსდა - 257,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 93,5 %-ია.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ქალაქის იერსახის გაუმჯობესება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსდება მოქალაქეთა სხვადასხვა

საპროექტო ინიციატივები. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა 2022 წლის ვალდებულებები, კერძოდ შეძენილ იქნა 36 ცალი დეკორატიული სანაგვე ურნა, ქალაქ წყალტუბოში 2 ერთეული ენერგო ეფექტური სკამი, 45 ცალი ხის ძელსკამი (წარწერით წყალტუბო). პროგრამის ფარგლებში მოეწყო ლითონის კონსტრუქციის სამი ფანჩატური ქალაქ წყალტუბოში თბილისის ქუჩაზე, თამარ მეფის ქუჩაზე და დედა ენის ქუჩაზე

**მიღწეული შუალედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს კმაყოფილი მოსახლეობა 90%.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

## 3. დასუფთავება და გარემოს დაცვა (პროგრამული კოდი 03 00)

დასუფთავება და გარემოს დაცვის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 2457,1 ათასი ლარით, რაც გეგმის (2586,8 ათასი ლარი) 95 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 03 00 | დასუფთავება და გარემოს დაცვა | **2,586.8** | **0.0** | **2,586.8** | **2,457.1** | **0.0** | **2,457.1** | 95.0 |
| 03 02 | უპატრონო ცხოველების ოპერირება | **64.4** | **0.0** | **64.4** | **64.1** | **0.0** | **64.1** | 99.5 |
| 03 03 | დასუფთავება , ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა | **1,952.9** | **0.0** | **1,952.9** | **1,888.8** | **0.0** | **1,888.8** | 96.7 |
| 03 04 | საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" | **4.5** | **0.0** | **4.5** | **4.5** | **0.0** | **4.5** | 100.0 |
| 03 05 | ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები | **565.0** | **0.0** | **565.0** | **499.7** | **0.0** | **499.7** | 88.4 |

**ა) უპატრონო ცხოველების ოპერირება (პროგრამული კოდი 03 02)** 2023 წლის გეგმა 64,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 64,1 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 99,5 %-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** შემცირებულია ინფექციურ დაავადებათა გავრცელების რისკ-ფაქტორები და უზრუნველყოფილია ჯანმრთელობისათვის უსაფრთხო გარემო, მოსახლეობის უსაფრთხო გადაადგილება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის ფარგლებში მოსახლეობის უსაფრთხოების დაცვის მიზნით ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული მაწანწალა ძაღლების ოპერირება. უმეთვალყურეო, უპატრონო შინაური ბინადარი ცხოველების მოვლა-პატრონობა და პოპულაციის რეგულირება.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 იზოლირებული და ოპერირებული ცხოველების რაოდენობა -450.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ზ) დასუფთავება, ნარჩენების გატანა და ცენტრალური პარკის ზედამხედველობა (პროგრამული კოდი 03 03)** 2023 წლის გეგმა 1952,9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1888,8 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 96,7 %-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კეთილმოწყობისა და დასუფთავების გაერთიანება

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ქალაქში სანიტარული წესრიგის შენარჩუნებულია, გაუმჯობესებულია სანიტარული პირობები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა. წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მიზნით ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის დასუფთავება ახორციელებს ქალაქისა და მუნიციპალტეტში შემავალი ადმინისტრაციული ერთეულებიდან ნაგვის ნარჩენების მოგროვებას და გატანას, რომელსაც ემსახურება 5 საბუნკერე და 2 მცირე თვითმცლელი სპეცავტომანქანა. შეგროვებული ნარჩენები გადის გეგუთის ნაგავსაყრელზე. მუნიციპალიტეტის

ტერიტორიიდან ყოველდღიურად გადის 32 მ. კუბი ნარჩენი.ყოველდღიურად იწმინდება გზების და გზატკეცილების მიმდებარე ტერიტორიები. პროგრამის ფარგლებში ასევე ხორციელდება მუნიციპალიტეტის განსაზღვრული ტერიტორიის დაგვა და სანიტარული დასუფთავება. საკონცერტო დარბაზ ივერიის, ცენტრალური პარკის და ცივი ტბის ტერიტორიაზე 230 ერთეული ახალი ნაგვის პატარა ურნა. მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე აიწყო და განლაგდა 56 ერთეული ნაგავშემკრები კონტეინერი.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს გატანილი ნარჩენების რაოდენობა (ტონა) – 9000.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**გ) საგრანტე პროგრამა ,,თანამშრომლობა მწვანე გარემოსთვის" (პროგრამული კოდი 03 04)** 2023 წლის გეგმა 4,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4,5 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 100 %-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მუნიციპალიტეტის სანიტარული პირობების გაუმჯობესება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროექტის ფარგლებში განხორციელდა მნიშვნელოვანი საქმიანობა ნარჩენების სეპარირებული შეგროვების დანერგვისათვის წყალტუბოს მუნიციპალიტეტში, ევროკავშირის წარმატებული გამოცდილების გაზიარების გამოყენებით. საანგარიშო პერიოდში დაფინანსდა აუდიტორული მომსახურების ხარჯი.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -**

**დაგეგმილი მაჩვენებელი** -

**მიღწეული მაჩვენებელი -**

**დ) ნაგავშემკრები კონტეინერი და ნაგავმზიდი მანქანები (პროგრამული კოდი 03 05)** 2023 წლის გეგმა 565,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 499,7 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 88,4 %-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მთელი წლის მანძილზე შეუფერხებლად განხორციელდება მუნიციპალიტეტის დასუფთავება და ქალაქიდან ნარჩენების გატანა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტში დასუფთავების ღონისძიებების განხორციელება მნიშვნელოვან პრიორიტეტს წარმოადგენს. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში განხორციელდა ნაგავშემკრბი კონტეინერების შეძენა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს შეძენილ იქნა - - ერთეული კონტეინერი

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

## 4. განათლება (პროგრამული კოდი 04 00)

განათლების პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4876,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (5068,9 ათასი ლარი) 96,2 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 04 00 | განათლება | **5,068.9** | **524.8** | **4,544.1** | **4,876.0** | **472.6** | **4,403.4** | 96.2 |
| 04 01 | საბავშვო ბაღების გაერთიანება | **4,540.4** | **0.0** | **4,540.4** | **4,399.6** | **0.0** | **4,399.6** | 96.9 |
| 04 02 | საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია | **528.5** | **524.8** | **3.7** | **476.4** | **472.6** | **3.7** | 90.1 |

**ა) საბავშვო ბაღების გაერთიანება (პროგრამული კოდი 04 01)** 2023 წლის გეგმა 4540,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 4399,6 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 96,9 %-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანება.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ხელმისაწვდომი სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებები და ბავშვების განვითარებაზე ორიენტირებული სააღმზრდელო და საგანმანათლებლო გარემო.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის" მიხედვით ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების შექმნა და მათი ფუნქციონირების უზრუნველყოფა მუნიციპალიტეტის საკუთარ (ექსკლუზიურ) უფლებამოსილებას წარმოადგენს.

ეფექტიანი ფუნქციონირების უზრუნველსაყოფად იგეგმება: სკოლამდელი აღზრდის სფეროში მართვის პოლიტიკის განხორციელება, სტანდარტების შესაბამისი სააღმზრდელო პროგრამა/მეთოდოლოგის დახვეწა, საქართველოს მთავრობის დადგენილებით განსაზღვრული სტანდარტების შესაბამისი კვებით უზრუნველყოფა, აღსაზრდელთა უსაფრთხოების მიზნით ბაგა-ბაღების ინფრასტრუქტურის (ეზო, შენობა, ინვენტარი და სხვა) განვითარება. არსებული საბავშვო ბაღების რეაბილიტაცია, ახალი საბავშვო ბაღების მშენებლობა და აღჭურვა სათანადო ინვენტარით.

ადრეული და სკოლამდელი აღზრდისა და განათლების დაწესებულებების ფუნქციონირების უზრუნველყოფა;

ეტაპობრივად ხდება სკოლამდელი არზრდის სისტემასთან დამტკიცებული სტადარტების აღსრულება, როგორიცაა სანიტარული და ჰიგიენური ნორმების დაცვა, მატერიალურ ტექნიკური ბაზის გაუმჯობესება; კვების ორგანიზებისა და რაციონის ნორმების დაცვა, ძირითადი აქტივების მიმდინარე შეკეთება და მოვლა–შენახვა;

წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საბავშვო ბაღების გაერთიანებაში ფუნქციონირებს 24 საბავშვო ბაღი 63 სასწავლო - სააღმზრდელო ჯგუფით, სადაც რეგისტრირებულია 1500 აღსაზრდელი.

წლის განმავლობაში საბავშვო ბაღებში ჩატარდა საგაზაფხულო და საშემოდგომო თემების პრეზენტაციები, გამოსაშვები ღონისძიებები. 1 ივნისს ჩატარდა სპორტის სასახლეში ბავშვთა საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ,,მხიარული სტარტები", რომელშიც მონაწილეობა მიიღო ქალაქის ოთხივე ბაღმა. ხოლო წლის ბოლოს ყველა ბაღში ჩატარდა საახალწლო ღონისძიება და ყველა აღსაზრდელს გადაეცა საახალწლო საჩუქრები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს აღსაზრდელთა რაოდენობა 1850.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - აღსაზრდელთა რაოდენობა 1500.

**მიღწეული მაჩვენებელი** - აღსაზრდელთა რაოდენობა 1500.

**ბ) საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტირება და ინფრასტრუქტურის მოწყობა / რეაბილიტაცია (პროგრამული კოდი 04 02)** 2023 წლის გეგმა 528,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 476,4 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 90,1%-ით.

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** შესაბამისი ინფრასტრუქტურა და განათლებაზე ორირენტირებული გარემო.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამა მოიცავს საჯარო სკოლების მოსწავლეთა ტრანსპორტით უზრუნველყოფას, რაც საანგარიშო პერიოდის განმავლობაში შეუფერხებლად ხოციელდებოდა. პროგრამა ხორციელდება საქართველოს მთავრობის განკარგულების საფუძველზე.

**განხორციელდა სოფ.** რიონში სკოლის საკლასო ოთახის რეაბილიტაცია.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ტრანსპორტით მოსარგებლე მოსწავლეთა რაოდენობა - 702.
**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

## 5. კულტურა, რელიგია,ახალგაზრდობა და სპორტი (პროგრამული კოდი 05 00)

კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 4746,0 ათასი ლარით, რაც გეგმის (4920,6 ათასი ლარი) 96,5 % -ია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| **05 00** | კულტურა, რელიგია, ახალგაზრდობა და სპორტი | **4,920.6** | **0.0** | **4,920.6** | **4,746.0** | **0.0** | **4,746.0** | 96.5 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 05 01 | სპორტის განვითარების ხელშეწყობა | 2,148.3 | 0.0 | 2,148.3 | 2,103.0 | 0.0 | 2,103.0 | 97.9 |
| 05 01 01 | სპორტული ღონისძიებები | 187.2 | 0.0 | 187.2 | 183.2 | 0.0 | 183.2 | 97.9 |
| 05 01 02 | სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა | 1,961.1 | 0.0 | 1,961.1 | 1,919.7 | 0.0 | 1,919.7 | 97.9 |
| 05 01 02 01 | წყალტუბო არენა | 209.9 | 0.0 | 209.9 | 207.5 | 0.0 | 207.5 | 98.9 |
| 05 01 02 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება | 1,105.0 | 0.0 | 1,105.0 | 1,097.4 | 0.0 | 1,097.4 | 99.3 |
| 05 01 02 04 | სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა | 646.2 | 0.0 | 646.2 | 614.8 | 0.0 | 614.8 | 95.1 |
| 05 02 | კულტურის სფეროს განვითარება | 2,761.3 | 0.0 | 2,761.3 | 2,636.2 | 0.0 | 2,636.2 | 95.5 |
| 05 02 01 | კულტურის სფეროს დაწესებულებების ხელშეწყობა | 2,022.8 | 0.0 | 2,022.8 | 1,924.3 | 0.0 | 1,924.3 | 95.1 |
| 05 02 01 01 | წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი | 689.5 | 0.0 | 689.5 | 632.1 | 0.0 | 632.1 | 91.7 |
| 05 02 01 02 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი | 1,183.3 | 0.0 | 1,183.3 | 1,174.8 | 0.0 | 1,174.8 | 99.3 |
| 05 02 01 03 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი | 150.0 | 0.0 | 150.0 | 117.4 | 0.0 | 117.4 | 78.2 |
| 05 02 02 | კულტურული ღონისძიებები | 638.5 | 0.0 | 638.5 | 611.9 | 0.0 | 611.9 | 95.8 |
| 05 02 03 | რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 | 0.0 | 100.0 | 100.0 |
| 05 03 | ახალგაზრდობის მხარდაჭერა | 11.0 | 0.0 | 11.0 | 6.8 | 0.0 | 6.8 | 61.5 |

ა) **სპორტის განვითარების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01)** 2023 წლის გეგმა 1733,4 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1577,4 ათასი ლარით, გეგმა შესრულდა 91 %-ით.

**ა.ა) სპორტული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 01 01)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 183,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 187,2 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,9 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** გატარებულია ღონისძიებები მასობრივი სპორტის განვითარების ხელშეწყობის მიზნით

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში განხორციელდა: დაგეგმილი ღონისძიებებიდან განხორციელდა 29 მარტს სასკოლო სპორტული ოლიმპიადის რეგიონალური ტურნირი ხელბურთში. 4 მაისს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ცენტრალური პარკის შესასვლელთან გაიხსნა წყალტუბოელი სპორტსმენის ბერძნულ - რომაული სტილით მოჭიდავის იაკობ ქაჯაიას ვარსკვლავი. საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი წყალტუბოში სხვადასხვა სპორტული ღონისძიებებით აღინიშნება, კერძოდ ჩატარდა მკლავჭიდის ტურნირი სხვადასხვა წონით კატეგორიებში, გოგონებსა და ვაჟებს შორის, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდნენ საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეები. საპრიზო ადგილზე გასულ სპორტსმენებს გადაეცათ სიმბოლური საჩუქრები. 4 აგვისტოს წყალტუბოში გაიმართა სამოყვარულო ფრენბურთის ტურნირი. 23 სექტემბერს სტარტი აიღო მსოფლიო ველომოყვარულთა საერთაშორისო ტურმა, სადაც მონაწილეობა მიიღო მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნმებიდან ჩამოსულმა 55-მა ველომოყვარულმა. 23 სექტემბერს გაიხსნა მსოფლიო სპორტის კვირეული მარათონით. 25 სექტემბერს ტურნირის პირველი თამაში გაიმართა „წყალტუბო არენას„ სტადიონზე. 26 სექტემბერს გაიმართა ფეხბურთის ტურნირი სკოლებს შორის. 30 სექტემბერსა და პირველ ოქტომბერს გაიმართა ბერძნულ-რომაული ჭიდაობის ტურნირი. 19 -20 ოქტომბერს საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეებს შორის ჩატარდა მაგიდის 3X3 და მაგიდის ჩოგბურთის ტურნირი. 29 ოქტომბერს ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ფრენბურთის ტურნირი გოგენებში წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის. 29 ოქტომბერს ჩატარდა სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ფრენბურთის ტურნირი ვაჟებში წყალტუბოს საჯარო და კერძო სკოლის მოსწავლეებს შორის. 11 – 12 ნოემბერს გაიმართა ახალგაზრდა წარმატებული სპორტსმენის შალვა ბზიკაძის ხსოვნისადმი მიძღვნილი რესპუბლიკურუ ტურნირი ძიუდოში. 15 ნოემბერს სასკოლო სპორტული ოლიმპიადა ჩატარდა ვაჟებში ხელბურთის ტურნირი. 10 დეკემბერს ჩატარდა როინ მეტრეველის სახელობის ხელბურთის ტურნირი, რომელშიც მონაწილეობას ღებულობდა რვა მუნიციპალიტეტის გუნდი. 14 – 15 – 16 დეკემბერს ჩატარდა ზურაბ ბადირეიშვილის სახელობის კალათბურთის ტურნი, რომელში მონაწილეობდა ექვსი მუნიციპალიტეტის გუნდები. 21 დეკემბერს ჩატარდა ზაურ ტეხოვის სახელობის მინი ფეხბურთის ტურნირი. 30 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა საუკეთესო სპორტსმენები და მწვრთნელები დააჯილდოვა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებული სპორტული ღონისძიებების რაოდენობა - 22.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ა.ბ) სპორტული დაწესებულებების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 01 02)** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება სპორტული დაწესებულებების დაფინანსება სპორტის

საყოველთაობისა და ხელმისაწვდომობის უზრუნველსაყოფად; სპორტული ტრადიციების დაცვის, გაღმავების, თაობათა შორის მემკვიდრეობითობის უწყვეტობის; სპორტის განვითარების; სპორტისა და ჯანსაღი ცხოვრების წესის პოპულარისაციისათვის. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 1919,7 ათასი ლარით (გეგმა 1961,1 ათასი ლარი), რაც გეგმის 97,9 %-ია. მათ შორის:

**ა.ზ.ა) ა(ა)იპ წყალტუბო არენა (პროგრამული კოდი 05 01 02 01)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბო არენა

**2023 წლის გეგმა 209,9** ათასი ლარი, დაფინანსდა - 207,5 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,9 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მუნიციპალური საფეხბურთო სტადიონი შეუფერხებლად მასპინძლობს წლის განმავლობაში გამართულ ყველა სპორტულ ღონისძიებას.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის ცენტრალური და სათადარიგო სტადიონის ინფრასტრუქტურის მოწყობა, მოვლა - პატრონობა. ქვეპროგრამის მიზანია წლის ნებისმიერ პერიოდში წყალტუბოს საფეხბურთო სტადიონის მზადყოფნა დაგეგმილი მატჩებისათვის. სულ დასაქმებული 24 ადამიანი (მათ შორის 18 კაცი).

უზრუნველყოფილია საფეხბურთო კლუბ „სამგურალის" ძირითადი გუნდის, დუბლების შემადგენლობისა და სხვადახვა ასაკობრივი გუნდებისათვის ეროვნული ჩემპიონატის შესაბამის ლიგაში ჩემპიონატის თამაშებისა და საწვრთნელი ვარჯიშების ჩატარების შეუზღუდავად უზრუნველყოფა. გამოიცვალა 600კვ/მ მინდვრის საფარი, სისტემატურად ხდება შხამ-ქიმიკატების შეტანა, მორწყვა და მინდვრის საფარის მოვლა. მოეწყო მინი სტადიონი პატარებისთვის.

19 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 13 საშინაო თამაში.

17 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 16 საშინაო თამაში.

15 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 18 საშინაო თამაში.

14 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 12 საშინაო თამაში.

13 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 8 საშინაო თამაში.

12 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 12 საშინაო თამაში.

11 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 9 საშინაო თამაში.

10 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 10 საშინაო თამაში.

9 წლამდელთა გუნდმა ჩაატარა 7 საშინაო თამაში.

პარალელურად სათადარიგო სტადიონზე ვარჯისებს ატარებს სამოყვარულო გუნდი. ასევე პერიოდულად როცა სტადიონი თავისუფალია ვეხმარებით და სათადარიგო სტადიონზე ვარჯისობს რაგბის გუნდი.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს ჩატარებული საფეხბურთო მატჩების რაოდენობა - 145.
**დაგეგმილი მაჩვენებელი -** საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
**მიღწეული მაჩვენებელი -** ჩატარდა 99 საშინაო თამაში.

**ა.ბ.ბ) ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება (პროგრამული კოდი 05 01 02 02)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სპორტული კლუბების გაერთიანება

**2023 წლის გეგმა** 1105,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1097,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,3 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** სპორტის საყოველთაობის, ხელშეწყობისა და პოპულარიზაციის უზრუნველყოფა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის მიზანია ხელი შეუწყოს მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრებას; მეტი მოზარდი ჩართოს სპორტში, რათა სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. ამ მიზნით ქვეპროგრამა აერთიანებს 14 სპორტულ მიმართულებას, რომელთაც ეუფლება 616 სპორტსმენი: რაგბი (94 სპორტსმენი), ხელბურთი (45 სპორტსმენი (14ქალი, 31 კაცი)), ფრენბურთი (48 სპორტსმენი(19 ქალი, 29 კაცი)), კალათბურთი (61 სპორტსმენი (20ქალი,41კაცი)), ბერძნულ-რომაული ჭიდაობა (44 სპორტსმენი), ქართული ჭიდაობა (17 სპორტსმენი), ძიუდო (68 სპორტსმენი), ძალოსნობა (20 სპორტსმენი(2 ქალი,18 კაცი)), მძლეოსნობა (18 სპორტსმენი12 ქალი,6კაცი)), მკლავჭიდი (16 სპორტსმენი), კრივი (21 სპორტსმენი), ჭადრაკი (21 სპორტსმენი (3ქალი, 18კაცი)), მაგიდის ჩოგბურთი (12 სპორტსმენი). გაერთიანებაში დასაქმებულია 53 ადამიანი, მათ შორის ქალი - 14, კაცი-38. გაერთიანების სპორტსმენები მონაწილეობენ საქართველოს, საერთაშორისო, ევროპისა და მსოფლიო მასშტაბით გამართულ ტურნირებსა და პირველობებში. ღონისძიების ფარგლებში ხდება ხელშეწყობა მოზარდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დამკვიდრების,

რაც შეიძლება მეტი მოზარდი ჩაერთოს სპორტში და სპორტმა მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანოს ჯანმრთელი თაობის ჩამოყალიბებაში. სპორტსმენებმა მნიშვნელოვან წარმატებებს მიაღწიეს სპორტის სხვადასხვა სახეობებში: რეგიონალური ლიგა (დასავლეთი);რეგიონალური ლიგის ფინალი, სადაც სარაგბო კლუბმა ,,დინოზავრმა" მოიპოვა I ლიგის საგზური; ხელბურთის გუნდმა ,,პრომეთემ" სენაკში გამართულ ჩემპიონატზე დაიკავა IV ადგილი და მოხვდა საქართველოს ჩემპიონატზე 8 გუნდში, ხოლო თბილისში გახდა საქართველოს ჩემპიონი; ქართულ ჭიდაობაში საქართველოს ჩემპიონატში მოპოვებული იქნა I ადგილი; საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში ძიუდოში მოიპოვეს ლიცენზია; III ადგილი იქნა მოპოვებული ჯონდო ჯანიაშვილის ხსოვნის ტურნირში; საქართველოს ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირებში I, II და III ადგილზე მოპოვებული იქნა ლიცენზიები; ძალოსნობაში გამართულ ჩემპიონატზე მოპოვებული იქნა I, II და III ადგილი; ბ/რ ჭიდაობაში აკაკი ნუცუბიძის ხსოვნის ტურნირში მოპოვებული იქნა I, II და III ადგილი; სპორტის ოსტატის ზაზა ედიბერიძის ხსოვნის ტურნირში მოპოვებულ იქნა I, II და III ადგილი; საქართველოს ჩემპიონატში ჭაბულ მოკრივეთა შორის მოპოვებულ იქნა II ადგილი; მკლავჭიდის ევროპის ჩემპიონატის შესარჩევ ტურნირში მოპოვებულ იქნა მარჯვენა - მარცხენა მკლავის I და II ადგილი, ხოლო მოლდოვაში ევროპის ჩემპიონატზე მოპოვებულ იქნა II ადგილი;

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებული სპორტულ ღონისძიებათა რაოდენობა - 70.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ა.ბ.გ) სპორტული ობიექტების აღჭურვა, რეაბილიტაცია, მშენებლობა (პროგრამული კოდი 05 01 02 04)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ინფრასტრუქტურის და კეთილმოწყობის სამსახური)

**2023 წლის გეგმა 646,2 ათასი ლარი, დაფინანსდა - 614,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,1 %-ია.**

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** განახლებულია ქალაქის სპორტული ინფრასტრუქტურა, რომელიც ადაპტირებულია როგორც ქალთა ასევე მამაკაცთა საჭიროებებზე.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება სპორტული მოედნების რეაბილიტაცია - მოწყობა, კერძოდ საანგარიშო პერიოდისთვის განხორციელდა

ვალდებულებით გადმოტნილი პროექტის დაფინანსება, ცენტრალური საფეხბურთო სტადიონის მოედნის საფარის მოწყობის სამუშაოები.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს რეაბიტირებული სპორტული მოედნების რაოდენობა - 5.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - რეაბილიტირდება 4 სპორტული მოედანი.

**მიღწეული მაჩვენებელი** - რეაბიტირდა 2 სპორტული მოედანი.

**ბ) კულტურის სფეროს განვითარება (პროგრამული კოდი 05 02)** პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში კულტურული ტრადიციების მხარდაჭერა, განვითარება და მოსახლეობის კულტურული დონის ამაღლება. კულტურული თვითმყოფადობის გაცნობიერებისა და გაღმავების ხელშეწყობა. კულტურის სფეროს დარგების განვითარება და მათი პოპულარიზაცია. ამ მხრივ პროგრამის ფარგლებში ხორციელდება კულტურული ობიექტების დაფინანსება, როგორიცაა ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი, ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი და ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი. ამ მიზნით ქვეპროგრამა დაფინანსდა - 2636,2 ათასი ლარით (გეგმა 2761,3 ათასი ლარი), რაც გეგმის 95,5%-ია. მათ შორის:

**ბ.ა) წყალტუბოს ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 01 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ბავშვთა და ახალგაზრდობის ცენტრი

**2023 წლის გეგმა** 689,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 632,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 91,7 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** უზრუნველყოფილია ახალგაზრდების ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის მიზანია ახალგაზრდების ინტელექტუალური, შემოქმედებითი, სულიერი, პიროვნული, პროფესიული და ფიზიკური პოტენციალის გამოვლენის, ფორმირებისა და განვითარებისათვის შესაბამისი პირობების შექმნა. ხელოვნებასთან ზიაარებით პიროვნების ინდივიდუალური შემოქმედებითი მიდრეკილებების განვითარების ხელშეწყობა. კულტურული განვითარება. დაწყებითი სამუსიკო, სამხატვრო და არაფორმარული განათლების მიღება. ახალგაზრდებისთვის შემეცნებითი, შემოქმედებითი ღონისძიებების განხორციელება.მოსწავლეებისთვის ეროვნული და კულტურული მემკვიდრეობის ქართული და მსოფლიო ნიმუშების გაცნობა. მოზარდთა ინტერესების შესაბამისად პროფილური წრეების, ცენტრების, მოსწავლე-ახალგაზრდობის შემეცნებით-შემოქმედებითი პროგრამების განხორციელება.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ახალგაზრდობის ჩართულობა შემოქმედებით საქმიანობაში- 455.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ბ.ბ ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 02 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის კულტურის ცენტრი

**2023 წლის გეგმა** 1183,3 ათასი ლარი, დაფინანსდა - 1174,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 99,3 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მოსახლეობაში გაზრდილია ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის მიზანია მოსახლეობაში ტრადიციული კულტურის პოპულარიზაცია; შემოქმედებითი უნარების განვითარება; თეატრალური სფეროსადმი, ბიბლიოთეკებისა და მუზეუმებისადმი მოსახლეობის დაინტერესების ზრდა და ჩართულობის გაზრდა. რასაც ემსახურება ცენტრში შემავალი 3 მუზეუმი, 29 ბიბლიოთეკა, 2 კულტურის სახლი და 10 სასოფლო კლუბი, ფოლკლორული ანსამბლი ,,ნადური", სახალხო თეატრი და ქორეოგრაფიული ანსამბლი. ღონისძიების ფარგლებში ხორციელდება ასევე სასოფლო ბიბლიოთეკების უფასო ინტერნეტით აღჭურვა, რომლითაც აქტიურად სარგებლობს სოფლის მოსახლეობა. საანგარიშო პერიოდში აღინიშნა დღე ტკივილის და გამარჯვების, საქართველოს ტერიტორიული ნთლიანობისათვის დაღუპულ გმირთა მემორიალი შეიმკო ყვავილების გვირგვინიტ და დაღუპულთა ხსოვნის პატივსაცემად ჩატარდა პანაშვიდი. მაისის პირველიკვირა მიეძღვნა საბიბლიოთეკო კვირეულს, რომლის ფარგლებშიც ჩატარდა აქცია ,,მწერალი სოფელში": გვიშტიბის, მაღლაკის, ხომულის, ოფშკვითის, საყულიის, ქვიტირის, ფარცხანაყანევის, მუხიანის, ოფურჩხეთის ბიბლიოთეკებმა უმასპინძლეს თანამედროვე პოეტებსა და მწერლებს; ფაშიზმზე გამარჯვების დღეს გვიშტიბის ძმათა სასაფლაოზე უცნობის ჯარისკაცების საფლავები შეიმკო ყვავილებით; სოფელ გეგუტში თამარ მეფის ციხე - დარბაზის ტერიტორიაზე გაიმართა სახალხო დღესასწაული ,,თამარობა"; მხარეთმცოდნეობის მუზეუმში გაიმარტა მუზეუმის საერთაშორისო დღე; ჩატარდა თეორიული კონფერენცია და გამოიცა შრომათა მე-11-ე კრებული; გაიმარტა სახალხო თეატრის პრემიერა ,,სამანიშვილის დედინაცვალი"; სახალხო თეატრმა მონაწილეობა მიიღო ფესტივალში ,,თეატრალური იმერეთი"; ასევე თოჯინების თეატრმა მონაწილეობა მიიღო ბათუმში გამართულ ფესტივალში და დაჯილდოვდა რამოდენიმე ნომინაციაში. 2 აგვისტოს აღინიშნა ელიობის დღესასწაული გეგუთის კულტურის სახლში. სახალხო თეატრმა, ანსაბლმა ნადურმა და

ქორეოგრაფიულმა ანსაბლმა მონაწილეობა მიიღო 2 ოქტომბერს ,,შემოდგომის წყალტუბოს" ღონისძიებაში. 30 ოქტომბერს ბიბლიოთეკასი ჩატარდა ი. გოგებაშვილის 183 წლის იუბილისადმი მიძღვნილი ღონისძიება. 11 ნოემბერს მაღლაკის კ / სახლსი ჩატარდა ისტორიული ვიქტორინსა ,,რა ვიცით აღმასენებლის სესახებ". 16 ნოემბერს საბავშვო ბიბლიოთეკაში გაიმართა ი. ჭავჭავაძის დღისადმიმი მიძღვინილი პრეზენტაცია. 21- 25 – 28 დეკემბერს ნადურმა და კლუბებმა მონაწილეობა მიიღეს საახალწლო ღონისძიებებში.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 12.
**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ზ. გ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი (პროგრამული კოდი 05 02 01 03 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრი

**2023 წლის გეგმა** 150,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 117,4 ათასი ლარით, რაც გეგმის 78,2 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ადგილობრივი და საერთაშორისო ღონისძიებები დაორგანიზებულია და გაზრდილია ვიზიტორების რაოდენობა.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტში ტურიზმის განვითარების პოლიტიკის ჩამოყალიბება და განხორციელება, მდგრადი ტურიზმის განვითარების ხელშეწყობა, შიდა ტურიზმის სრული კოორდინაცია, კურორტის პოპულარიზაცია. პროგრამის მიზანია მუნიციპალიტეტის მასშტაბით შემომყვანი და ადგილობრივი ტურიზმის განვითარების მხარდაჭერა. პროგრამის ღონისძიებები გათვლილია ადგილობრივ მოსახლეობასა და ვიზიტორებზე და ზოგადად ითვალისწინებს გენდერულ თანაფარდობას მისი სარგებლობისა და ხელმისაწვდომობის პარამეტრში. პროგრამის ამოცანებია შესაბამისი ტურისტული ინფრასტრუქტურის შექმნა, სახვადასხვა ღონისძიებების, ფორუმების, კონფერენციების, გამოფენების გამართვის/მონაწილეობის გზით მუნიციპალიტეტის პოპულარიზაცია, მიმზიდველობის ზრდა, მიზნობრივი ბაზრებიდან ტურისტების მოზიდვა, ტურისტულ ინფორმაციაზე ხელმისაწვდომობის ზრდა, ასევე მუნიციპალიტეტის მდგრადი ტურისტული განვითარებისთვის სტრატეგიის შემუშემუშავება. მიზნების მისაღწევად, პროგრამის ფარგლებში განსახორციელებელი ღონისძიებები: მცირე ტურისტული ინფრასტრუქტურის ობიექტების შექმნა; სარეკლამო და საინფორმაციო ბეჭდური

მასალების შექმნა და გავრცელება; ქალაქის რეკლამირება მიზნობრივ ბაზრებსა და ღონისძიებებზე; ინტერნეტსა და სოციალურ ქსელებში შესაბამისი მასალების განთავსება; ტურისტების საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით სხვადასხვა პროექტების განხორციელება და სხვა. საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტურიზმის განვითარების საკოორდინაციო ცენტრის მიერ განხორციელდა ადგილობრივ გიდებთა გადამზადება; გაიმართა ღონისძიება გიდების დღესთან დაკავშირებით; სისტემატიურად მიმდინარეობს წყალტუბოს როგორც ტურისტული ქალაქის პოპულარიზაცია.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს მოზიდულ ტურისტთა რაოდენობა - 25000.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ზ.დ) კულტურული ღონისძიებები (პროგრამული კოდი 05 02 02)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 638,5 ათასი ლარი, დაფინანსდა - 611,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,8 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ქალაქის გამრავალფეროვნებული კულტურული ცხოვრება.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში დაფინანსდა სხვადასხვა ღონისძიებები, როგორიცაა:

- საახალწლო კონცერტი;
- საშობაო ბაზრობა;
- 8 მარტის ღონისძიება;
- წყლის საერთაშორისო დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება, დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე.
- 12 და 13 აპრილს ქართული ენის დღესთან დაკავშირებით ჩატარდა შემოქმედებითი კონკურსები:
    - საუკეთესო ლიტერატურული ნაშრომი (ესეე), თემაზე "რა ენა წახდეს..."
    - სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების ნამუშევრების კონკურსი, თემით: შექმენი მხატვრულად „ქართული ენა".

  ღონისძიებაში ჩართული იყო მუნიციპალიტეტის კერძო და საჯარო სკოლის 80 მდე მოსწავლე. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.
- 15 მაისს ქართული კინოს დღეს, საქართველოს კინემატოგრაფიის ეროვნული ცენტრმა საქართველოს მასშტაბით მოაწყო ქართული კინო მარათონი! გიორგი ახვლედიანის

სახელობის მხარეთმცოდნეობის მუზეუმის საგამოფენო დარბაზში გაიმართა ორი კინო ფილმის ჩვენება: "სამი სახლი" - რეჟ. ზაზა ურუშაძე;"დიდი მწვანე ველი", რეჟისორი - მერაბ კოკოჩაშვილი;

- 18 მაისს წყალტუბოში „ეროვნული სამოსის დღე" ტრადიციულად აღინიშნა კოსტიუმირებული მსვლელობით, რომელშიც ჩართული იყო ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები, საჯარო და კერძო სკოლები, ა(ა)იპ-ები და წყალტუბოს ადგილობრივი მოსახლეობა. ღონისძიება საზეიმო კონცერტით დასრულდა.
- საქართველოს დამოუკიდებლობის დღე 26 მაისი წყალტუბოში სხვადასხვა კულტურული-შემეცნებითი ღონისძიებებით აღინიშნება. ქვეყნის უმთავრეს ეროვნულ დღესასწაულთან დაკავშირებით, საქართველოს ჰიმნის ფონზე აღიმართა ეროვნული დროშა.
- 1 ივნისს, ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, სხვადასხვა გასართობი ღონისძიებები გაიმართა. ქალაქის ცენტრალურ პარკის მიმდებარედ, კულტურულ და შემეცნებით აქტივობებსა და ასფალტზე ცარცით ხატვით კონკურსში პატარები ხალისით ჩაერთნენ და სიმბოლური საჩუქრებიც გადაეცათ.
- 15 ივნისს წყალტუბოში „თეთრა მღვიმის" ტერიტორიაზე წყალტუბოელი თვითნასწავლი მხატვრის, თეა სილაგაძის პერსონალური გამოფენა მოეწყო.
- 19 ივნისს,,თეთრა მღვიმის" ტერიტორიაზე გაიმართა ზაზა კილასონიას საავტორო კონცერტი ,,მშვიდობა მსოფლიოს''
- 20 ივნისს მთავალი ბიბლიოთეკის სამკითხველო დარბაზში მოეწყო შეხვედრა საქართველოს კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროს ექსკლუზიური ლიტერატურული პროექტის „ცოცხალი წიგნები", რომელიც არაერთხელ ყოფილა წყალტუბოს სტუმარი. პროექტის ფარგლებში მოწვეული იყო:
    1. მარიამ ხუცურაული - პოეტი და პროზაიკოსი, საბას პრემიის ლაურეატი
    2. მიხო მოსულიშვილი- პროზაიკოსი და დრამატურგი
    3. ნინო გუგეშაშვილი - პროზაიკოსი, პოეტი, მუსიკოსი
    4. გიო ზედვაკელი (აბესაძე)- პოეტი.
- 2 ივლისს წყალტუბოში, საკონცერტო დარბაზ „ივერიაში" ლეგენდარულმა ანსაბლმა „ქართული ხმები" ლიტერატურულ-მუსიკალური კომპოზიცია-„წუთისოფელი წარმოადგინა.
- 8 აგვისტოს საქართველოს დამოუკიდებლობისათვის ბრძოლის მემორიალთან პატივი მიაგეს 2008 წლის აგვისტოს ომში დაღუპულთა ხსოვნას.
- 3 სექტემბერს მთავრობის ადმინისტრაციის ორგანიზებით ჩატარდა მუსიკალური საღამოები.
- 27 სექტემბერს სოხუმის დაცემიდან 30 წლის თავზე დიდების მემორიალთანმ პატივი მიეგო აფხაზეთის ომის გმირებს. გაიმართა აფხაზეთის ომის თემაზე გადაღებული დოკ. ფილმის ჩვენება.
- 28-29 სექტემბერს წყალტუბომ უმასპინძლა საერთაშორისო ტურისტული ფილმების ფესტივალს.
- 29 სექტემბერს საკონცერტო დარბაზ „ივერიაში"გაიმართა ოცზე მეტი ფილმის ჩვენება რეგიონების ტურისტული პოტენციალის შესახებ.
- 30 სეტემბერს გაიმართა ტრადიციული სახალხო დღესასწაული „შემოდგომის წყალტუბო"ს მასშტაბური ღონისძიებები.
- 1 ოქტომბერს შემოდგომის წყალტუბოს ფარგლებში გაიმარტა კლასიკური მუსიკის კონცერტი ,,თეთრა მღვიმეში".
- 20 დეკემბერს წყალტუბოში საზეიმოდ აინთო ქალაქის მთავარი ნაძვის ხე.

- 31 დეკემბერს წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერმა 24 საათიან რეჟიმში მომუშავე უწყებებისა და სამსახურების წარმომადგენლებს ახალი წლის დღესასწაული მიულოცა და საახალწლო კალათების გადასცა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებულ კულტურულ ღონისძიებათა რაოდენობა - 29.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**ბ.ე) რელიგიური ორგანიზაციების ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 05 02 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 100,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 100,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** რელიგიური შემწყნარებლობის პროპაგანდა და მოსახლეობის სულიერების ამაღლება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ფინანსური მხარდაჭერა გაეწევა მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ტაძრებისა და ეკლესიების რეაბილიტაციასა და ახალის მშენებლობას, კერძოდ: ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩზე მდებარე ღვთისმშობლის მიძინების სახელობის ტაძარი; ქ. წყალტუბოში თამარ მეფის ქუჩაზე მდებარე, ანჩისხატის სახელობის ტაძარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ თერნალში მდებარე ღვთისმშობლის შობის სახელობის ტაძარი; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ მაღლაკის მაცხოვრის ფერიცვალების სახელობის ტაძარი; ქ. წყალტუბოში 9 აპრილის ქუჩაზე მდებარე წმინდა გაბრიელ ეპისკოპოსის სახ. სასულიერო გიმნაზიის ღობის მოწყობა; წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სოფელ გეგუთის ბაზიერთა უბანში მდებარე წმ. გიორგის სახელობის ტაძარი.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს დაფინანსდა - 10 ეკლესია.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**გ) ახალგაზრდობის მხარდაჭერა(პროგრამული კოდი 05 03)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 11,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 6,8 ათასი ლარით, რაც გეგმის 61,5 %-ია. საანგარიშო პერიოდში შოვის ტრაგედიიდან გამომდინარე გადაიდო რიგი ღონისძიებების ჩატარება.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მუნიციპალიტეტის შემოქმედებით ცხოვრებაში ჩართულია ახალგაზრდები.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** პროგრამის მიზანია ახალგაზრდობის მხარდაჭერა, რომელიც გულისხმობს საზოგადოებრივ ცხოვრებაში ბავშვებისა და ახალგაზრდების თვითრეალიზაციის შესაძლებლობას. 6 აპრილს ჩატარდა ინტელექტუალური თამაში „რა? სად? როდის?". ღონისძიებაში ჩართული იყო ქალაქის საჯარო და კერძო სკოლები. გამარჯვებულებს სიმბოლური საჩუქრები გადაეცათ.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებულ ახალგაზრდულ ღონისძიებათა რაოდენობა - 5.
**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

## 6) მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 00)

მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფის პრიორიტეტი საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსდა 1984,4 ათასი ლარით, რაც გეგმის (2217,5 ათასი ლარი) 89,5 პროცენტია. თანხები გადანაწილდა შემდეგი მიმართულებით:

ათასი ლარი

| პროგრამული კოდი | წყალტუბოს მუნიციპალიტეტი | 2023 წლის ბიუჯეტის გეგმა | | | 2023 წლის ბიუჯეტის იანვარ - დეკემბრის ფაქტი | | | % |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | | სულ | მათ შორის | | სულ | მათ შორის | | |
| | | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | | სახელმწიფო ბიუჯეტის ფონდებიდან გამოყოფილი ტრანსფერები | საკუთარი შემოსავლები | |
| 06 00 | **მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვა და სოციალური უზრუნველყოფა** | **2,674.5** | **171.9** | **2,502.6** | **2,575.1** | **171.7** | **2,403.5** | 96.3 |
| 06 01 | ჯანმრთელობის დაცვა | 183.0 | 139.9 | 43.1 | 179.1 | 139.7 | 39.4 | 97.9 |
| 06 01 | საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და | 183.0 | 139.9 | 43.1 | 179.1 | 139.7 | 39.4 | 97.9 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 01 | უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა | | | | | | | |
| 06 02 | სოციალური პროგრამები | 2,491.5 | 32.0 | 2,459.5 | 2,396.1 | 32.0 | 2,364.1 | 96.2 |
| 06 02 01 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი | 385.0 | 0.0 | 385.0 | 361.9 | 0.0 | 361.9 | 94.0 |
| 06 02 02 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება | 3.0 | 0.0 | 3.0 | 3.0 | 0.0 | 3.0 | 100.0 |
| 06 02 03 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის | 81.0 | 0.0 | 81.0 | 79.7 | 0.0 | 79.7 | 98.4 |
| 06 02 04 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი | 8.5 | 8.0 | 0.5 | 8.3 | 8.0 | 0.3 | 97.1 |
| 06 02 05 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება | 730.9 | 0.0 | 730.9 | 716.6 | 0.0 | 716.6 | 98.0 |
| 06 02 06 | ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი | 219.6 | 0.0 | 219.6 | 211.5 | 0.0 | 211.5 | 96.3 |
| 06 02 07 | მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება | 805.9 | 0.0 | 805.9 | 770.3 | 0.0 | 770.3 | 95.6 |
| 06 02 08 | სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება | 105.6 | 0.0 | 105.6 | 105.6 | 0.0 | 105.6 | 100.0 |
| 06 02 09 | გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა | 7.0 | 0.0 | 7.0 | 3.9 | 0.0 | 3.9 | 55.6 |
| 06 02 10 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისათვის ინდივიდუალური სახლების მშენებლობის ან/და შეძენა | 100.0 | 0.0 | 100.0 | 93.4 | 0.0 | 93.4 | 93.4 |

| | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 06 02 11 | წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება | 45.0 | 24.0 | 21.0 | 42.0 | 24.0 | 18.0 | 93.3 |

ა) საზოგადოებრივი ჯანმრთელობისა და უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა (პროგრამული კოდი 06 01 01 )

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი

**2023 წლის გეგმა** 183,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 179,1 ათასი ლარით, რაც გეგმის 85,6 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** მოსახლეობის ჯანმრთელობის შენარჩუნება და საგანგებო სიტუაციების ლოკალიზება

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მოსახლეობისთვის საზოგადოებრივი ჯანმრთელობის დაცვის სერვისების მიწოდება და უსაფრთხო საცხოვრებელი გარემოს უზრუნველყოფა, გადამდებ დაავადებათა ეპიდზედამხევდველობა და კონტროლი, პირველადი ეპიდკვლევის განხორციელება, იმუნოპროფილაქტიკის დაგეგმვა და მასზე ანგარიშგება დადგენილი წესით, C ჰეპატიტის სკრინინგის განხორციელება, საზოგადოებისათვის მნიშვნელოვან ობიექტებში სანიტარულ - ჰიგიენურ მდგომარეობაზე ზედამხედველობა. ქვეპროგრამას ახორციელებს ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრი, რომელიც ემსახურება შემდეგს: ეპიდზედამხედველობის სახელმწიფო პროგრამა, იმუნიზაციის სახელმწიფო პროგრამა (ვაქცინების ასაცრელი მასალის მონიტორინგი), სამედიცინო სტატისტიკის ღონისძიებების პროგრამა (ვერბალური აუტოფსია), იმუნოლოჯისტკის განხორციელებაზე ზედამხედველობა, 5-10 წლამდე ასაკის ბავშვების ჰელმინთებზე გამოკვლევა, ანტირაბიული პროგრამის განხორციელება, ტუბერკულიოზის მართვის სახელმწიფო პროგრამის ეპიდზედამხედველობა. ცენტრის საანგარიშო პერიოდში ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრის მიერ ჩატარებული იქნა სახელმწიფო პროგრამების ფარგლებში ,,C” ჰეპატიტის სკრინინგი, ,,B” ჰეპატიტის სკრინინგი, კოვიდ-19 -ის პროგრამით ვაქცინირებულთა სკრინინგი, სხვადასხვა ინფექციური აცრები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

1. **საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს ჩატარებული აცრების რაოდენობა - 5068.
2. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

3. **მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
4. **საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ჩატარებული სკრინინგის ბენეფიციართა რაოდენობა - 4385
5. **დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.
6. **მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

ბ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი (პროგრამული კოდი 06 02 01 )

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი.

**2023 წლის გეგმა 385,0** ათასი ლარი, დაფინანსდა - 361,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 94 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** შეჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი პირები უზრუნველყოფილნი არიან ყოველდღიური უფასო კვებით

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლის დაფინანსება, კერძოდ სოციალურად დაუცველი და შეჭირვებული მოსახლეობის საინფორმაციო ბაზის შექმნა და მათი უზრუნველყოფა კვებით. საანგარიშო პერიოდისთვის პროგრამით სარგებლობდა 210 ბენეფიციარი, რომელთა გამოკვება ხდება დღეში ერთჯერ. ა(ა)იპ წყალტუბოს მუნიციპალიტეტის სათნოების სახლი ახორციელებს აგრეთვე ბენეფიციართა შინმოვლის პროგრამას, რომელიც მოიცავს გადაადგილების შესაძლებლობას მოკლებულ 17 ბენეფიციარს.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 210.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

გ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 02 )

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 3,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,0 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ასი და მეტი წლის უხუცესები უზრუნველყოფილნი არიან ფინანსური დახმარებით

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში გათვალისწინებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ დღეგრძელ პირთა (100 და მეტი წლის ასაკის) მატერიალური დახმარება, თითოეულზე 1000 ლარის ოდენობით. ასეთი წყალტუბოს მუნიციპალიტეტში არის რეგისტრირებული 3 მოქალაქე.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 2.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საბაზისო მაჩვენებლის შენარჩუნება.

**დ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული ოჯახების მატერიალური წახალისება დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის (პროგრამული კოდი 06 02 03 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 81,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 79,7 ათასი ლარით, რაც გეგმის 98,4 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებულია

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში დახმარება გაეწია მრავალშვილიან ოჯახებს: მესამე შვილის შეძენის გამო 500 ლარი დახმარების სახით მიიღო 31 ოჯახმა, მეოთხე შვილის შეძენის გამო მუნიციპალიტეტში მცხოვრებმა 5 ოჯახმა - 700 ლარი, მე-5 შვილის შეძენის გამო 1 ოჯახმა -1000 ლარი. მე-8 შვილის შეძენის გამო 1 ოჯახმა 1000 ლარი, სულ 33 ოჯახმა. სოციალური მომსახურების სააგენტოს მონაცემთა ერთიან ბაზაში 0-დან 65000-ი ქულის ჩათვლით რეგისტრირებულმა 121 ოჯახმა, რომელთაც ყავთ 18 წლამდე ასაკის სამი და მეტი შვილი ერთჯერადად მიიღო თითოეულმა 300 ლარი.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2021 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 396.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 145.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 145.

**ე) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეთა სარიტუალო ხარჯი (პროგრამული კოდი 06 02 04 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 8,5 ათასი ლარი, დაფინანსდა 8,3 ათასი ლარით, რაც გეგმის 97,1 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** სარიტუალო მომსახურეობით უზრუნველყოფილი ბენეფიციარი

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ერთჯერადი ფულადი დახმარება გაეწია იძულებით გადაადგილებულ 18 ოჯახს,რომელთაც გარდაეცვალათ ოჯახის წევრი, ადგილობრივი ბიუჯეტიდან სარიტუალო ხარჯების თანადაფინანსებისათვის გამოყოფილი იქნა- 250 ლარი.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 45.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 18.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 18.

**ვ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების ერთჯერადი ფულადი დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 05 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 674,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 635,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 94,3 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ფინანსური ხელმისაწვდომობის გაზრდის გზით მუნიციპალიტეტში დემოგრაფიული მდგომარეობის გაუმჯობესებულია

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სოციალური ერთჯერადი დახმარებები მიეცა 1111 ოჯახს, შემდეგ კატეგორიებზე: სხვა სახელმწიფო ტერიტორიული მთლიანობისათვის მებრძოლ **32** ომის მონაწილეს- **350** ლარის ოდენობით, ჩერნობილის ატომური ელექტროსადგურის სალიკვიდაციო სამუშაოებში მონაწილე **22** პირს გაეწია დახმარება **350** ლარის ოდენობით, ცერებრალური დამბლით დაავადებულ **91** პირს (თითოეულს **500** ლარი), მკვეთრად გამოხატული შეზღუდული შესაძლებლობის მქონე **91** პირს, რომლებსაც სტატუსი მიენიჭათ თვალის დაავადების დიაგნოზით გაეწია ფულადი დახმარება (თითოეულს - **400** ლარი), თირკმლის ჩანაცვლებით თერაპიაზე: ჰემოდიალიზზე და პერიტონეულ დიალიზზე დამოკიდებულ **53** პირს გაეწია დახმარება (თითოეულს -**2000** ლარი), შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე **76** ბავშვს (თითოეულს -**300** ლარი), მარტოხელა მშობლის სტატუსის მქონე **52** პირს გაეწია

დახმარება (თითოეულს **300** ლარის ოდენობით), ფსორიოზით დაავადებულ **95** პირს გაეწია დახმარება **400** ლარის ოდენობით. პარკინსონით დაავადებულ **75** პირს გაეწია ერთჯერადი ფულადი დახმარება (თითოეულს **400** ლარის ოდენობით), დახმარება გაეწია გარდაცვლილ სამამულო ომის მონაწილის ოჯახს **250** ლარის ოდენობით, ონკოლოგიურად დაავადებულ **4** ბავშვს-**1500** ლარი თითოეულს. ფენიკეტონურიით **დაავადებულ 6** ბავშვს -**1500** ლარი **18** წლამდე თითოეულს. აღდგომის ბრწყინვალე დღესასწაულთან დაკავშირებით სხვადსხვა კატეგოიის ბენეფიციარებს საზეიმო განწყობის შექმნის მიზნით სოც. დაუცველ ოჯახებს (ოჯახის სარეიტინგო ქულა 0-დან 65000-ის ჩათვლით, რომელთაც ჰყავთ 18 წლამდე ასაკის 3 და მეტი შვილი, დედ-მამით ობოლ ბავშვებს დიდი სამამულო ომის მონაწილე ვეტერანს და შეზღუდული შესაძლებლობის ბავშვებს) სულ 350 ბენეფიციარს გადაეცათ 50 ლარის ღირებულების კვების პროდუქტები. წყალტუბოს მუნიციპალიტეტის რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში თავშესაფრის გარეშე დარჩენილია 25 მოქალაქე, მათ ბინის ქირის ასანაზღაურებელად თვეში ერთხელ გამოეყოთ - 250 ლარი. უსახლკარო პირებზე რომელთა საცხოვრებელი სახლები დაინგრა, დაიწვა ან საცხოვრებლად უვარგისი, ავარიული ან სიცოცხლისა და ჯანმრთელობისათვის საშიში გახდა სტიქიური უბედურების, უბედური შემთხვევის ან სხვა გარემოებების გამო 2 ოჯახს გადაეცა საცხოვრებელი სახლი. სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 19 ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება. ოჯახში ძალადობის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილი, მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული ოჯახში, ძალადობის მსხვერპლის სტატუსის მქონე პირის დროებითი საცხოვრებელი ფართით უზრუნველყოფის მიზნით ბინის ქირით უზრუნველყოფილი იქნა 2 მოქალაქე თვეში 250 ლარით. დედ-მამით ობოლ 3 ბავშვს გაეწია ფულადი დახმარება 400 ლარის ოდენობით. ჩვენი სახლის 22 ბენეფიციარს სასწავლო წელთან დაჯკავშირებით თითოეულს 150-150 ლარი. ადრეული განვითარების სპეციალისტებსი ტრანსპორტირებისათვის 10 ბავშვს გამოეყო 504 ლარი. უმწეოთა სასადილო ,,სათნოების სახლის" 199 ბენეფიციარს აღდგომის დღესასწაულტან დაკავშირებით თითოეულს გამოეყო 100-100 ლარი. სოციალურად დაუცველ 95 პირველკლასელ მოსწავლეს სასწავლო ნივთების შესაძენად გადაეცა 100-100 ლარი.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 1443.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 1111

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 1111

**ზ) ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი (პროგრამული კოდი 06 02 06 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** ა(ა)იპ ბავშვთა ინკლუზიური ცენტრი

**2023 წლის გეგმა** 219.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 211.5 ათასი ლარით, რაც გეგმის 96.3 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** უზრუნველყოფილია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობა და საზოგადოებაში ინტეგრაცია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** ქვეპროგრამის ფარგლებში ხორციელდება მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული 0-დან 18 წლამდე შშმ პირის სტატუსის მქონე ბენეფიციარების (უნარშეზღუდულ ბავშვთა) ზრდა - განვითარების ხელშეწყობას, მათი იზოლაციიდან გამოყვანასა და საზოგადოებასთან ინტეგრაციას. 2023 წელს ა(ა)იპ წყალტუბოს ბავშვთა ინკლუზიურ ცენტრში ირიცხება წყალტუბოში და წყალტუბოდან 20კმ-ის რადიუსში მცხოვრები 17 ბენეფიციარი, რომლებიც უზრუნველყოფილია დღეში ორჯერადი სამკომპონენტიანი კვებით. მათ ემსახურება ცენტრის კუთვნილი მიკროავტობუსი. ცენტრი აღჭურვილია თანამედროვე ტექნიკით, მუსიკალური ინსტრუმენტით, რომლის საშუალებითაც ხდება ბენეფიციარების ჩართვა კულტურულ ღონისძიებებში. საანგარიშო პერიოდისათვის მიმდინარეობდა სხვადასხვა ღონისძიებები: 3 მარტი აღსაზრდელებმა მშობლებს საკუთარი ხელნაკეთი საჩუქრებით მიულოცეს; ჩატარდა 8 მარტის დღისადმი მიძღვნილი ღონისძიება; გაიმართა დაუნის სინდრომის საერთაშორისო დღე, მოხდა ბენეფიციარების გამასპინძლება ტორტითა და ტკბილეულით; აღინიშნა აუტიზმის საერთაშორისო დღე ქალაქის ხელმძღვანელებთან ერთად; 9 აპრილს ბენეფიციარებმა ყვავილებით შეამკეს მემორიალი; აღდგომის დღესასწაულთან დაკავშირებით ბენეფიციარების ოჯახებს სააღდგომო სასაჩუქრე ნაკრები გადაეცათ; გაიმართა 9 მაისის ღონისძიება, სადაც წაკითხული იქნა ლექსები; აღინიშნა ოჯახის სიწმინდის დღე; აღინიშნა დამოუკიდებლობის დღე; ბავშვთა დაცვის დღე. კულტურის ცენტრის სპექტაკლებზე და ღონისძიებებზე დასწრება; წყალტუბო 2023 მონაწილეობისას მოეწყო ბენეფიციართა ნამუშევრების გამოფენა.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 16.

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 17.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდისთვის ბენეფიციართა რაოდენობა - 17.

**თ) მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული მოქალაქეების სამედიცინო დახმარების თანადაფინანსება (პროგრამული კოდი 06 02 07 )**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 805.9 ათასი ლარი, დაფინანსდა - 770.3 ათასი ლარით, რაც გეგმის 95,6 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** მუნიციპალიტეტში რეგისტრირებულ 934 მოქალაქეზე გაიცა საგარანტიო წერილი (თანადაფინანსება გეგმიური და გადაუდებელი სტაციონალური ქირურგიული ოპერაციების, მათ შორის თვალის კოსმეტიკური სახის ან ცხვირის რინოპლასტიკის რეკონსტრუქციული ფორმის ოპერაციების, სხვა სამედიცინო მომსახურების (გარდა თერაპიულისა) ლაბორატორიულ-ინსტრუმენტული და სხვა სახის კვლევების, რომელიც არ ანაზღაურდება სადაზღვევო პოლისით ან არ არის გათვალისწინებული საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით, რომელიც განისაზღვრება საყოველთაო ჯანდაცვის პროგრამით ან სხვა გზით გათვალისწინებული დაფინანსების გამოკლების შემდეგ დარჩენილი პაციენტის მიერ გადასახდელი წილის 50%-ით, არაუმეტეს 1000 ლარისა. აუტიზმის სპექტრის 194 ბავშვზე გაიცა საგარანტიო წერილი. მძიმე და საშიში დაავადების მქონე 224 ბენეფიციარს გაეწია დახმარება მედიკამენტების შესაძენად. დახმარება გაეწა 18 წლამდე ასაკის ბავშვს რომლის აუცილებელი სამედიცინო მომსახურება ვერ მოხერხდა საქართველოს სამკურნალო დაწესებულებაში და მატერიალური დახმარების სახით მის მიმართ გაიცა თანხა 5000 ლარის ოდენობით საზღვარგარეთ სამკურნალოდ.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**
**საბაზისო მაჩვენებელი -** 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა - 1442.
**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 516.
**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 516.

**ი) სტიქიის, ხანძრის შედეგად დაზარალებულ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ მოქალაქეების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 08)**

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 105.6 ათასი ლარი, დაფინანსდა - 105.6 ათასი ლარით, რაც გეგმის 100 %-ია.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** პროგრამით მოსარგებლე ბენეფიციარების თანადგომა და გაუმჯობესებული ჯანმრთელობა

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სტიქიის შედეგად დაზარალებულმა 37 ოჯახმა მიიღო ერთჯერადი ფულადი დახმარება.

**მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:**

**საბაზისო მაჩვენებელი** - 2022 წელს ბენეფიციართა რაოდენობა -

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 37.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 37.

კ) გენდერული თანასწორობის ხელშეწყობა (პროგრამული კოდი 06 02 9)

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს გენდერული თანასწორობის საბჭო

**2023 წლის გეგმა** 7,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 3,9 ათასი ლარით, რაც გეგმის 55,6 %-ია. აღნიშნული განპირობებულია იმით, რომ არ განხორციელდა ყველა დაგეგმილი აქტივობა შოვის ტრაგედიიდან გამომდინარე.

**დაგეგმილი შუალედური შედეგი:** ინფორმირებულია მიზნობრივი სეგმენტი გენდერული თანასწორობის შესახებ.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** გენდერული თანასწორობის ხელშეწყობის პროგრამით მოხდება მუნიციპალიტეტში მცხოვრები ყველა გენდერულად სენსიტიური ჯგუფის - ძალადობის მსხვერპლი და/ან რისკ-ჯგუფის ქალების, მარტოხელა და/ან ქვრივი მშობლების (როგორც ქალის ისე კაცის), განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ახალგაზრდების, სოციალურად დაუცველი მრავალშვილიანი ოჯახების, შშმ პირების, მარტოხელა და ზრუნვის პოლიტიკის საჭიროების მქონე ხანდაზმულების, იგპ პირების საჭიროებების შესწავლა და ამ საჭიროებებზე მორგებული საბიუჯეტო წინადადებების შემუშავება და დანერგვა. პროგრამა ითვალისწინებს გენდერული ცნობიერების ჩამოყალიბებას ინფორმირებას გენდერულ კანონმდებლობაზე, გენდერული ძალადობის წინააღმდეგ არსებულ მექანიზმებზე, სოციალური პარტნიორობის სისტემაზე. იმის გათვალისწინებით, რომ ხელმძღვანელი სტრუქტურების მხრიდან მკაცრდება მოთხოვნები თანასწორობის პოლიტიკაში არსებული გამოწვევების საპასუხოდ, მნიშვნელოვანია, მოხდეს ცალკეულ სფეროებში გენდერული საჭიროებების შესწავლა და შესაბამისი საკითხების გათვალისწინება საბიუჯეტო პროცესის ყველა ეტაპზე: დაგეგმვის, განხორციელების, შეფასების. სადღეისოდ უწყებათაშორისი კომისია მუშაობს ადგილობრივ თვითმმართველობასთან თანამშრომლობის პლატფორმაზე, რასაც საპასუხო ნაბიჯები უნდა მოყვეს ადგილობრივი მუნიციპალიტეტების მხრიდან. მოხდეს გენდერული უთანასწორობის შემცირების მიზნით შესაბამისი გასატარებელი ღონისძიებების მხარდაჭერა ადგილობრივი რესურსებით.

საანგარისო პერიოდში მოხდა ქალთა დღისადმი თაიგულების შეძენა.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -**

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობა - 5.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში დაგეგმილი აქტივობა - 1.

ლ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული სოციალურად დაუცველი ოჯახებისთვის ინდივიდუალურისახლების მშენებლობა ან/და შეძენა (პროგრამული კოდი 06 02 10)

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 100,0 ათასი ლარი, დაფინანსდა 93,4 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,4 %-ია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** სოფ მუხიანსა და სოფ პატრიკეთში ორ სოციალურაქდ დაუცველ ოჯახს საკუთრებაში გადაეცა ახლადაშენებული საკუტარი სახლები.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -**

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 2.

**მიღწეული მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 2.

მ) წყალტუბოს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებული განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვიანი ოჯახების დახმარება (პროგრამული კოდი 06 02 11)

**პროგრამის განმახორციელებელი:** წყალტუბოს მუნიციპალიტეტის მერია (ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამსახური)

**2023 წლის გეგმა** 45,0 ათასი ლარი, დაფინანსდა - 42,0 ათასი ლარი, რაც გეგმის 93,3%-ია.

**საანგარიშო პერიოდში განხორციელებული ღონისძიებების აღწერა და მიღწეული შუალედური შედეგები:** განსაკუთრებული საჭიროების 21 სოციალურად დაუცველი ოჯახისთვის თითოეულისთვის გამოყოფილი იქნა საყოფაცხოვრებო ტექნიკისა და ინვენტარის შესაძენად 2000-2000 ლარი.

მიღწეული შულედური შედეგების შეფასების ინდიკატორები:

**საბაზისო მაჩვენებელი -**

**დაგეგმილი მაჩვენებელი** - საანგარიშო პერიოდში ბენეფიციართა რაოდენობა - 22.

